გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 39
(11 496)

22 – 24 მაისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ქუთაისის „ტორპედომ“ საქართველოს ჩემპიონობა ფეხბურთში ზედიზედ, მეორედ, მოიპოვა. ვულოცავთ!

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში 4





## თასის ფინალი ვაკეში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობის თხოვნა, აგრეთვე „ტორპედოს“ თანხმობა და 26 მაისს, თასის ფინალური შეხვედრა ვაკეში „ლოკომოტივის“ სტადიონზე დანიშნა. მატჩი 18 საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა. მაშ, ასე შაბათს საღამოს, სტადიონის გახსნის საზეიმო ცერემონიას თასის ფინალური მატჩი დაამშვენებს.

## მარჯი საქართველოს!

## კიდევ ხუთი მედალი, ამჯერად – ძიუდოში!

ამ დღეებში, ევროპის ჩემპიონატებში, ჩვენი მოჭიდავეების ბოლოდროინდელი წარმატებებით წაქეზებულები, პარიზიდან სასიხარულო ცნობის მოლოდინში ვიყავით, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით გაემგზავრა კონტინენტის უძლიერეს ათლეტებთან საპაექროდ. ჩვენდა სასიხარულოდ, მოლოდინმა არ გაგვაწბილა. ხუთი ფალავანი შინ მედლით ბრუნდება.

ყველაზე თვალსაჩინო დავით მარგიშვილის წარმატებაა, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა 66 კგ. წონით კატეგორიაში. ოთხ ძიუდოისტს კი ბრინჯაოს მედალი ხვდა. ესენი არიან: ნესტორ ხერგიანი (60), ივერი ჯიქურაული (95), ალექსი დავითაშვილი (მძიმე) და რამაზ ჩოჩიშვილი (აბსოლუტური). ვულოცავთ!




რობერტ ბაგოიანის ფოტო

ოტმარ პითცფელდის მახვილი და ჩაქუჩი 7

ვახტანგ კოპალეიშვილს ნიჭიერი თაობის იმედი აქვს 4

ფეხბურთი და საბაზრო ეკონომიკა 5

# ჩვენ ოდითგან სპორტით მადლცხებული ერი ვართ! 3

საფეხბურთო ევროპა ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები... 6

მიუნხენის „ბავარიის“ შვედი მცველის პატრიკ ანდერსონის გოლმა „ჰამბურგთან“, კლუბს ჩემპიონობა მოუტანა...




## ჩვენს სპორტულ სამყაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

შინ და გარეთ გამართულ სხვადასხვა ასპარეზობებში მონაწილეობა სპორტული ცხოვრების მთავარი რიტმია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციული საკითხებისადმი მიდგომა და გადაჭრა, ურომლისოდაც სპორტული ცხოვრება საერთოდ ჩაკვდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ პრობლემები უმტკივნეულოდ გვარდება, ან საერთოდ გვარდება კი? ისევ და ისევ ფინანსებამდე მიდის ყველაფერი და თუ დღეს დევიზი: „სპორტი ყველასათვის!“ ჯერ ისევ ლოზუნგად რჩება, აქაც მიზეზი ქვეყნის სიდუხჭირეში უნდა ვეძიოთ. სამწუხაროდ, ისევ დუმან სპონსორები, შეძლებული ფირმები, მდიდარი კომპანიები.

მისასალმებელია, რომ დიდი სპორტისკენ მოიხედა ფინანსთა სამინისტრომ. ბიუჯეტით დამტკიცებული და ამ სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით ამ დღეებში მოხერხდა მოკრივეთა, ძიუდოისტთა, კალათბურთელთა, მოჭიდავეთა, მკლავჭიდელთა დაფინანსება. იმედია, ასეც გაგრძელდება!




## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ფოგთსი კლაუს ტოპმელერმა შეცვალა

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ლევერკუზენის „ბაიერში“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან განთავისუფლებული ბერტი ფოგთსი კლაუს ტოპმელერმა შეცვალა. ახალმა მწვრთნელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან. მისი ასისტენტი გახდება მეორე გუნდის მწვრთნელი პეტერ ხერმანი და „ახალგაზრდულის“ დამრიგებელი რალფ მინგე. „მე შევეცდები გამოვალვიძო ფეხბურთელები. აღტაცებული ვარ ამ გუნდის პოტენციალით და მსურს „ბაიერს“ დავუბრუნო შემტევი და ძლევამოსილი კლუბის რეპუტაცია“, — განაცხადა 49 წლის ახალმა მწვრთნელმა, რომელიც „ბაიერში“ „საარბრიუკენიდან“ მოვიდა.

ფოგთსი „ბაიერის“ მიერ ქვეყნის ჩემპიონატში დაკავებულ მეოთხე ადგილს შეეწირა. კომპენსაციის სახით, ახლა იგი კლუბიდან 3,5 მილიონ გერმანულ მარკას მიიღებს. კონტრაქტი ფოგთს 2003 წელს უმთავრდებოდა.

### მორენოს ახალი კონტრაქტი ელოდება

ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის მიერ ახალ კონტრაქტზე ხელმოწერა, ახლა მხოლოდ დროის საქმეა. ხავი მორენო, როგორც იუწყებიან, „მილანთან“ კონტრაქტს მას შემდეგ გააფორმებს, რაც ყველა ფორმალობები მოგვარდება სამედიცინო გამოკვლევასთან დაკავშირებით. ესპანეთის ნაკრებისა და „ალავესის“ ფორვარდი უკვე ესაუბრა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს ადრიანო გალიანის, რომელმაც თავის მხრივ დაადასტურა, რომ მორენო ახლო მომავალში წითელშავ ფორმას ჩაიცმევს. შეთავაზებული თანხა 7,5 მილიონი დოლარია.

### ფერდინანდი „ტოტენჰემში“ რჩება

ინგლისის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ლეს ფერდინანდი „ტოტენჰემში“ კიდევ ორი წლით რჩება. მიუხედავად იმისა, რომ 34 წლის გოლეადორს ბოლო ოთხ წელიწადში თან სდევდა სერიოზული ტრავმები, „ტოტენჰემის“ თავკაცი გლენ ჰოდლი მის მიმართ რწმენას არ კარგავს. „მე მჯერა, რომ იგი დაიბრუნებს ძველ ფორმას და კვლავ გვიჩვენებს თავის საუკეთესო თამაშს“ — თქვა მან.

### სიმენის მემკვიდრე დუდეკი გახდება

ჰოლანდიის „ფეიენოორდის“ გოლკიპერი დღეს, სამშაბათს, ლონდონში ჩადის „არსენალის“ კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების გასამართავად ამ კლუბში მისი გადასვლის თაობაზე მომავალში. მოსალოდნელია, რომ დუდეკი კონტრაქტს გააფორმებს ზაფხულის დასაწყისში და გარიგება 6 მილიონი ფუნტიდან დაიწყება. ჰოლანდიელები ჯერჯერობით 10 მილიონს ითხოვენ.

### ველორბოლა «ჯირო დ.იტალია»



გუშინ, ამ ასპარეზობის მეორე ეტაპი ლიდერის, ფრანგი კასაგრანდეს (სურათზე) მონაწილეობის გარეშე დაიწყო. კვირას, სველ ასფალტზე მოცურების შემდეგ ამ მრბოლმა ხელი მოიტეხა. კასაგრანდემ განაცხადა, რომ დაცემის შემდეგ იგი ცდილობდა, ხელი არ შეეშალა სტეფანო გარზელისთვის, რომელიც მის წინ დავარდა და, შესაძლებელია, ამიტომაც გამოდგა ტრავმა მძიმე.

### დაწინაურდა ანანდი

მექსიკაში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში დაწინაურდა ინდოელი ვიშვანათან ანანდი. მის გარდა, ტურნირში სამი დიდოსტატი ხალიფმანი, შორტი და ერნანდესი მონაწილეობენ.

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე და 17 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## „ადლერის გაზაფხული“

ეს ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება სოჭში გაიმართა, რომელშიაც 300-მდე ჩოგბურთელი მონაწილეობდა. საქართველო დინამოელი სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი. მწვრთნელ ვ.ბაქშის ხელმძღვანელობით. ჩვენებიდან 12 წლამდე ბიჭების ფინალში გააღწია „ჯეჯილის“ ალსაზრდელმა ალექსანდრე ლომინაშვილმა. აქ იგი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხა რუსეთელ სლავა პეტრუშინთან. ამავე ასაკში გოგონათა შორის მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა თბილისელი მარია კალაშნიკოვა. საგულისხმოა, რომ ამ გოგონამ ტურნირის გამარჯვებულ მოსკოველ მარია რევზინას მოუგო. ასევე ტურნირის გამარჯვებულს სძლია სოზარ ბაქრაძემ, მაგრამ საბოლოოდ მასაც მესამე ადგილი ხვდა წილად.

**რობერტ ყარსელი**

ჩოგბურთი | საქართველოს ჩემპიონატი

## 14 წლამდე გოგონები მოგვიანებით იასპარეზებენ

შეჯიბრება ჩატარდა ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე 16 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონებსა და 14 წლამდე ბიჭებს შორის (ამ ასაკის გოგონათა ასპარეზობა 5 ივლისს გაიმართება).

***16 წლამდე ასაკი. გოგონები:*** 1. ნანა უროტაძე, 2. ლიკა დალაქიშვილი, 3. მაგდა კვაჭაძე; ***ჭაბუკები:*** 1. ლევან არველაძე, 2. შოთა პარხალოვი, 3. გიორგი გველესიანი. ***14 წლამდე ბიჭები:*** 1. ნოდარ ითონიშვილი, 2. ვახტანგ მჭედლიშვილი, 3. გიორგი ნავროზაშვილი. შეჯიბრებების მთავარი მსაჯი იყო ვიქტორ ავილოვი.

## ვანდა კერესელიძემ ათენის საოლიმპიადო ციკლი წარმატებით დაიწყო



მაისში ბულგარეთის ქ. ბურგასში და საფრანგეთის ქ. კორბელ-ესსონში ორი დიდი „ა“ კატეგორიის „გრან პრი“ ჩატარდა მხატვრულ ტანვარჯიშში.

ბურგასში თავი მოიყარა 23 ქვეყნის 34 წამყვანმა სპორტსმენმა, მათ შორის იყო საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრი, ბათუმელი პერსპექტიული ტანმოვარჯიშე ვანდა კერესელიძე. გასულ საოლიმპიადო ციკლში ვ. კერესელიძე საკმაოდ სტაბილურ შედეგებს აჩვენებდა, მაგრამ მხატვრულ ტანვარჯიშში საერთაშორისო ფედერაციის მიერ ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი 40 ადგილის 25 ადგილამდე შემცირების გამო, ის სიდნეიში ვერ გაემგზავრა.

სამაგიეროდ, დიდი შემართებით დაიწყო ბათუმელმა ტანმოვარჯიშემ ახალი საოლიმპიადო ციკლი. ბურგასში მან ყველა საგნით ვარჯიშში საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა და მრავალჭიდში საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო ცალკეული საგნებით ვარჯიში 4-დან 3-ში ფინალში იასპარეზა, ბურთი ვარჯიშში კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, რაც, უდავოდ, წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

უფრო შთამბეჭდავი იყო საფრანგეთის ქ. კორბელ-ესსონში გამართული ტურნირი, სადაც მონაწილეობდა 39 ქვეყნის 73 სპორტსმენი, მათ შორის ოლიმპიურ თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. უძლიერეს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა პაექრობაში ვანდა კერესელიძემ გამოამჟღავნა კარგი მომზადება, ნებისყოფა და მრავალჭიდში მე-18 ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ვარჯიშები შეიცვალა და მოთხოვნათა კოეფიციენტები გაორმაგდა, ჩვენი ტანმოვარჯიშეების გამოსვლა ამ ტურნირებში წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ბიზნესმენები, საქმიანი ადამიანები სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად, ამ შესანიშნავი სპორტის სახეობის წარმომადგენლებს გაუწევენ ფინანსურ დახმარებას, რათა ვანდა კერესელიძემ მონაწილეობა მიიღოს წლის ყველა მთავარ ტურნირებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ათენის (საბერძნეთი) ოლიმპიურ თამაშებისათვის წარმატებით მოსამზადებლად.

**ლევან ჯიოშვილი, ბათუმი**

## 161-ე სკოლამ „პრეზიდენტის თასისთვის“ ბრძოლა დაიწყო

**საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 აპრილის №266 განკარგულების „პრეზიდენტის თასზე“ ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა შორის ტურნირების გამართვის შესახებ“ ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის 161-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ჯუმბერ ცერცვაძე). ამ სკოლის VI-VIII კლასების 13 გუნდი იბრძოდა მინიფეხბურთში სკოლის პირველობაში გამარჯვებისა და რაიონული ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ VIII¹ (დამრიგებელი მანანა ჭკუასელი) და VIII² კლასის მოსწავლე (დამრიგებელი ირინა მათითაშვილი) ფეხბურთელები. 5-3 გაიმარჯვა VIII¹ კლასის გუნდმა, მესამე პრიზიორი გახდა VI² კლასი (დამრიგებელი შორენა ცხადაძე).**

**ფიზაღზრდის მასწავლებლებს ვლადიმერ იარალიშვილს, ლელა ჩქარეულს და ოლია პისანკოს ტურნირის ჩატარებაში მხარში დაუდგა მთელი პედკოლექტივი და უფროსკლასელები, რომლებიც მატჩებს მსაჯობდნენ. მთავარი მსაჯის ფუნქცია კი სკოლის ცხოვრებაში აქტიურობით ყოველმხრივ გამორჩეულმა ხატვის მასწავლებელმა, ცნობილმა ვეტერანმა მოკრივემ, სპორტის ოსტატმა ალექსანდრე კალანდაძემ იკისრა.**

**აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა პირველად მონაწილეობდა ასეთ შორს გამიზნულ ოფიციალურ შეჯიბრებაში.**

**ც. ბაქრაძე**

## «დინამოს» ღია პირველობა



ამ ასპარეზობაში თბილისის, რუსთავის და ბათუმის 1989-90 და 1991-92 წლებში დაბადებული ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ.



**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.**

***1991-92 წ. ბიჭები:*** 1.გიორგი ცივაძე (ბათ); 2. შოთა პაიჭაძე (რუსთ), 3. დიმიტრი თაქთაქიშვილი („დინამო“); ***გოგონები:*** 1. ეკა გორგოძე, 2. მარიამ სამკაკაშვილი (ორივე — აკად.), 3. ნათია ჯაოშვილი („შევარდენი“); ***1989-90 წწ. ბიჭები:*** 1. ალეკო ირემაშვილი, 2. ლაშა ქარჩაიძე, 3. გიორგი ჭანტურია (სამივე — დინ.), ***გოგონები:*** 1. სოფიკო შაპატავა, 2. სალომე ჩახუნაშვილი (ორივე — დინ.), 3. თეონა ცერცვაძე (მართ.) ***1987-88 წწ. ბიჭები:*** 1. სოზარ ბოქაძე, გიორგი ხრიკაძე, 3. ალეკო ირემაშვილი (სამივე — დინ.); ***გოგონები:*** 1. თიკა ასპანიშვილი, 2. მანანა შაფაქიძე, 3. ნათია გეგია (სამივე დინ.); ***1985-86 წწ. ბიჭები:*** 1.შოთა პარხალავა („მზიური“), 2. ირაკლი კაკაბაძე („თეთრი არაგ“.), 3. საშა კორუმჯინი (დინ.); ***გოგონები:*** 1. თათია მიქაძე (მართ.), 2. ქეთი ოქროშვილი, 3. თამუნა ხარჩილავა (ორივე — დინ.). ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზი გადაეცა ნინო კალმახელიძეს, ვადამდე გამარჯვებისთვის სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ ირაკლი დასაველიძე და ბიძინა ამაშუკელი.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ივანე გოგილაშვილი.

ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მირიან ანდრიაძემ, ალექსანდრე კარანგაზიშვილმა და ირინა მალაციძემ.

*სურათებზე: გამარჯვებულები და პრიზიორები; ბათუმელი გიორგი ცივაძე — ტურნირის ყველაზე ნორჩი მონაწილე (რობერტ ბაგრიანის ფოტო).*

## მილოცვა

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს ვეტერან სპორტსმენს და სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, სპორტის ოსტატს ტანვარჯიშში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ღირსების მედალოსანს ***თეიმურაზ ასათიანს.***

თბილისის მოსწავლეთა I თამაშები

## ფრენბურთი



ფრენბურთელ მოსწავლე — სპორტსმენთა ასპარეზობაში თბილისის ხუთივე დაწყვილებული რაიონის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები მონაწილეობდნენ. ჭაბუკთა ფინალში გლდანი-ნაძალადევის გუნდმა (მწვრთნელი — გიორგი ქართველიშვილი) მოუგო დიდუბე-ჩუღურეთის ნაკრებს — 2:0 (25:23; 25:23). მეორე პრიზიორის მწვრთნელია გენადი გორდაძე. მესამე ადგილზე გავიდა ისანი-სამგორის გუნდი.

დიდუბე-ჩუღურეთის მოსწავლეთა გამარჯვებით დამთავრდა გოგონათა ასპარეზობა. თამაშების ჩემპიონმა (მწვრთნელი ფელიქს სუკიასოვი) ისანი-სამგორის წარმომადგენლებს სძლია 2:0 (25:11; 25:17). მესამე ადგილი წილად ხვდა გლდანი-ნაძალადევის გოგონებს (მწვრთნელი მაია ხორიაშვილი).

*სურათზე: თამაშების ჩემპიონი — დიდუბე-ჩუღურეთის გოგონათა გუნდი.*

## ყოფნა? არყოფნა?.. გიწვევთ პრესკონფერენციაზე

**შპს „საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი“ დღეს, 22 მაისს, 12 საათზე, „ტოტო-სტუდიაში“ (მ. კოსტავას ქ. №68 ვაკე-საბურთალოს გამგეობის შენობა, ჩიქოვანის ქუჩის მხრიდან) აწყობს პრესკონფერენციას საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონის „ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურეობის მიზნობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე და 94-ე მუხლების მოთხოვნებთან შეუსაბამობისა და ლატარიის სფეროში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზთა შესახებ.**

## ველოსპორტი

### ტრეკი



*1000 მეტრზე გამარჯვებულთა კვარცხლბეკი*

გაგაცნობთ ველოსპორტში (ტრეკი) გამარჯვებულებს და პრიზიორებს

***კვარცხლბეკი. გიტი. 200მ:*** 1. ლაშა ცეცხლაძე, 2. ირაკლი ზაკუტაშვილი, 3. გ. ნადირაძე (სამივე — დიდ-ჩუღ); ***500 მ:*** 1. ცეცხლაძე, 2. ზაკუტაშვილი, 3. გიორგი კასიგელაშვილი (გლდ-ნაძ); ***1000 მ:*** 1. გენა არუთინოვი (ისანი-სამგ), 2. პაატა ელბოროვი, 3. დავით კლდიაშვილი (ორივე — დიდ-ჩუღ); ***2000 მ:*** 1. ცეცხლაძე, 2. ნადირაძე, 3. ზაკუტაშვილი. გუნდური: 1. დიდუბე-ჩუღურეთი, (სპორტსკოლის დირექტორი მ. სუმბათიანი), 2. გლდანი-ნაძალადევი (გ. აბჟანდაძე), 3. ვაკე-საბურთალო (შ. ბერიძე).

***რობერტ ბაგრიანის ფოტო.***

## საქართველოს „უნივერსიადა 2001“

***თავისუფალი ჭიდაობა. 54 კგ:*** 1. ა. ელბაქიძე (გორის უნ.), 2. რ. გაგნიძე (სტუ), 3. ს. ბალავინოვი (თსუ); 58 კგ: 1. ბ. გუჩაშვილი (გორის უნ.), 2. გ. დილმელაშვილი (სპ. აკად.), 3. გ. პოპიაშვილი (სტუ); ***63 კგ:*** გ. ლილუაშვილი (სტუ), 2. მ. კარიჯაშვილი (გორის უნ.), 3. ქ. ყრიმელი (აგრ. უნ); ***69 კგ:*** 1. ო. თუშიშვილი (გორის უნ), 2. ბ. ციციშვილი (აგრ. უნ), დ. ხარებავა (სპ. აკად.); ***76 კგ:*** 1. გ. სალირაშვილი (პოლ. აკად), 2. ზ. სახვაძე (თსუ), 3. დ. ლექავა (სპ. აკად); ***85 კგ:*** 1. მ. ჯორბენაძე (სპ. აკად), 2. შ. ხუროშვილი (თსუ), 3. ბ. კარანაძე (სპ. აკად); ***97 კგ:*** 1. დ. ოთიაშვილი (თსუ), 2. გ. ჩიხლაძე (გორის უნ), 3. დ. ტაბიძე (სპ. აკად); ***130 კგ:*** 1. ა. მოდებაძე, 2. შ. ბელანიშვილი (ორივე — თსუ), 3. მ. კობიაშვილი (სტუ).

ქართული ჭიდაობა | აფხაზეთის ღია პირველობა

# მოვლა-პატრონობაც ამას ჰქვია...

ჩვენი ეროვნული საგანძურისა და სიამაყის — ქართული ჭიდაობის მოვლა-პატრონობის შესანიშნავ მაგალითს იძლევა აფხაზეთის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი (თავმჯდომარე — ამირან ზუხბაია). ამ შვიდიოდე წლის წინათ, აფხაზეთიდან ლტოლვილმა ენთუზიასტმა მწვრთნელებმა ომარ გახარიამ და ვარდენ ბენდელიანმა თბილისში თემქის დასახლებაში გამონახეს სპორტული დარბაზი, რომელიც კეთილმოაწყეს, იშოვეს საჭიდაო ხალიჩა და სხვა სპორტული აღჭურვილობა, საჭიდაო ჩოხებით და მეთოდური ლიტერატურით კი ისინი საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციამ მოამარაგა. მწვრთნელებმა მიკრო-რაიონში მცხოვრებ ლტოლვილ ახალგაზრდებს თავი მოუყარეს და მუშაობა გააჩაღეს. მათი რუდუნება უყურადღებოდ არ დარჩენია აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტს. ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. საგარეჯოში გამართულ საქართველოს პირველობაზე აფხაზეთიდან ლტოლვილმა რამდენიმე მოჭიდავემ საპრიზო ადგილი დაიკავა. ამ შედეგით წახალისებულმა მწვრთნელებმა თხოვნით მიმართეს ხელმძღვანელობას ჩაეტარებინათ აფხაზეთის ღია პირველობა. პასუხად თანხმობა და თანადგომა მიიღეს.

და აი, წლეულს, უკვე მეექვსედ ჩატარდა აფხაზეთის ტრადიციული ღია პირველობა, რომელსაც ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლამ (დირექტორი — ალეკო გიორგობიანი) უმასპინძლა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ზუგდიდის, ოზურგეთის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ყვარელის, თეთრიწყაროს, ქარელის, კასპის, თბილისისა და აფხაზეთიდან ლტოლვილი 80-მდე ფალავანი. მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ ევროპისა და მსოფლიო პირველობების გამარჯვებულები და პრიზიორები ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა სამბოში, ამიტომ ორთაბრძოლები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ლაგოდეხელმა ზურაბ კობერიძემ, აფხაზეთიდან ლტოლვილმა ლაშა ცალანმა, საგარეჯოელმა დიმიტრი ტურაშვილმა, ქარელელმა მამუკა მაზმიშვილმა, თბილისელმა ავთანდილ მუთოშვილმა და მიხელ ჩხეიძემ.

**კვარცხლბეკი:** ***52 კგ:*** 1. კახა მამულაშვილი (კასპი), 2. ვახტანგ პარკაული, 3. უჩა ხუციშვილი (ორივე — თბილისი); ***56 კგ:*** 1. გიორგი მჭედლიშვილი, 2. ნიკა ახობაძე (ორივე — თბილისი), 3. იური გორდელაძე (ოზურგეთი); ***60 კგ:*** 1. ლაშა გაბოძე (თბილისი), 2. ალექსი შაქარაშვილი (საგარეჯო), 3. გიორგი ხორგუაშვილი (თბილისი); ***64 კგ:*** 1. მამუკა მაზმიშვილი (ქარელი), 2. დავით ქოთოლაშვილი (თბილისი), 3. დავით ბეჟიკელაშვილი (ყვარელი); ***68. კგ:*** 1. გიორგი მჭედლიშვილი (კასპი), 2. ხვიჩა ხუციშვილი (თბილისი), 3. კახა ბადრიაშვილი (ორივე — თბილისი); ***72 კგ:*** 1. გიორგი მოდებაძე (ლაგოდეხი), 2. გიორგი ლელაშვილი (კასპი), 3. პაპუნა დოჩია (აფხაზეთი). ***78 კგ:*** 1. ზურა კობერიძე (ლაგოდეხი), 2. ავთანდილ მუთოშვილი (თბილისი), 3. სერგო ბოცვაძე (აფხაზეთი); ***84 კგ:*** 1. ლაშა ცალანი (აფხაზეთი), 2. ჯამბულ მჭედლიშვილი (საგარეჯო), 3. ჯაბა ბუდალაშვილი (კასპი); ***მძიმე:*** 1. მიხეილ ჩხეიძე (თბილისი), 2. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო), 3. ზურაბ მუზაშვილი (კასპი).

**იური იმერლიშვილი**

# ჩოგბურთი ● ახალი რეიტინგი

## გუშინ გამოქვეყნდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ახალი რეიტინგი.

**ვაჟები**

1. (1) ანდრე აგასი (აშშ) – 434 ქულა;
2. (2) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) – 361;
3. (3) გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) – 290;
4. (4) სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) – 233;
5. (5) ლეიტონ ჰიუტი (ავსტრალია) – 231;
6. (8) იან მაიკლ გემბილი (აშშ) – 190
7. (6) არნო კლემანი (საფრანგეთი) – 184;
8. (7) ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 183;
9-10. (9) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) – 175;
9-10. (38) ალბერტ პორტასი – 175.

**ქალები**

1. (1) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 5725 ქულა;
2. (2) ვინუს უილიამსი (აშშ) – 5015;
3. (3) ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 4329;
4. (4) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) – 3338;
5. (6) ამელი მორესმო (საფრანგეთი) – 2485;
6. (5) მონიკა სელეში (აშშ) – 2423;
7. (7) სერენა უილიამსი (აშშ) – 2319;
8. (8) ანა კურნიკოვა (რუსეთი) – 1926;
9. (9) ელენა დემენტიევა (რუსეთი) – 1861;
10. (14) კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) – 1835.



# გაირკვა რაგბიში ფინალისტთა ვინაობა

უკვე ცნობილი გახდა მორაგბეთა მსოფლიო საკლუბო ტურნირის ფინალის მონაწილეთა ვინაობა. „სუპერ-12"-ის ჩემპიონის ტიტულისთვის ერთმანეთს შეხვდებიან ავსტრალიის „ბრუმბიესი" და სამხრეთ აფრიკის კლუბი „შარპსი".

ფინალური მატჩი 26 მაისს ჩატარდება კანბერაში. ეს იქნება განსაკუთრებული ფინალი, რამდენადაც წინა ხუთი ჩემპიონატი ახალ ზელანდიელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამჯერად კი ამქვეყნის ვერცერთმა გუნდმა ვერ მიაღწია ფინალამდე.

**მარათონი**

გუშინ პრაღაში გაიმართა საერთაშორისო მარათონი. ვაჟებში გაიმარჯვა 30 წლის ტანზანიელმა ენდრიუ სამბუმ, რომელმაც ბოლო მოუღო კენიელთა ხუთწლიან ჰეგემონიას ჩეხეთის დედაქალაქში. ფინიშზე სწორედ კენიელ დავიდ იგნეტიჩს 5 წამით დაასწრო სამბუმ. გამარჯვებულის დროა 2:10.14 წ. ქალთა შორის უძლიერესი იყო იტალიელი მაურა ვიჩეკონტე — 2:26.3, [illegible] მელსაც კენიელი ჟაკლინ ჯეროტიჩი მთელი 5 წუთით ჩამორჩა.



ენდრიუ სამბუ

# ნორჩ მორაგბეთა ეს გუნდი, თბილისის მოსწავლეთა I სპორტული თამაშების ჩემპიონია!



ადგილები ასე განაწილდა: 1. ვაკე-საბურთალო, 2. გლდანი-ნაძალადევი, 3. დიდუბე-ჩუღურეთი.

# ჩვენ ოდითგან სპორტით მადლცხებული ერი ვართ!

ერის სიმდიდრე მხოლოდ მატერიალური დოვლათით არ განისაზღვრება, ვერც ბაბილონი, ვერც კართაგენი და ვერც ეგვიპტე ვერ გადაარჩინა უთვალავმა სიმდიდრემ და ფუფუნებამ. დღეს თუ საქართველოს საქართველო ჰქვია, თუ ქართველი ხალხი არსებობს და თავის ეროვნულ თვითმყობადობას შეხარის, ეს იმ ფიზიკური და სულიერი სიმხნევის წყალობაა რომელიც საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობებს გადმოეცემოდა. თუ არა ფიზიკური სიმხნევე, პოლიტიკური მოქნილობა და სისხარტე ვინ გაუძლებდა სპარსებსა და თურქებს, მონღოლებსა და არაბებს, ბერძნებსა და რომაელებს. ჩვენი სიძლიერე ფიზიკურ წვრთნაზე იყო დაფუძნებული. ყოველდღიური ვარჯიში მტერზე გამარჯვების უპირველესი გარანტია იყო. ჩვენი მამაპაპანი თავის ბავშვებს 5 წლიდან აწყებინებდნენ ვარჯიშს იმ დროს, როდესაც ძველბერძნები 7 წლიდან. ყველა ახალგაზრდას იმ სახეობაში ავარჯიშებდნენ, რომელიც შემდეგ ბრძოლებში გამოადგებოდათ: ჭიდაობა და კრივი, მშვილდოსნობა და ფარიკაობა, ცხენოსნობა და შუბისტყორცნა. ამ სახეობებს კარგად ფლობდა ყველა, მეფიდან დაწყებული უკანასკნელ მეჯინიბემდე. 1191 წელს თამარის სამეფო კარს რანის მეფის უფლისწული ამირ-მირმანი ეწვია თავის დიდებულებთან ერთად. როცა სულმნათი თამარისათვის მოუხსენებიათ ამირ-მირმანის სურვილი ბურთში შეჯიბრებოდნენ ქართველ დიდებულებს, თამარის მსახურთუხუცესისათვის უკითხავს:

– ვის დაავალებთ ამ საქმეს?

– ამირ სპასალარ ზაქარია მხარგრძელს, ჰერეთის ერისთავს გრიგოლს და მათ მეც ამოვუდგები გვერდშიო. – ქართველებმა თურმე სასტიკად დაამარცხეს რანელი დიდებულები.

ამირსპასალარის წოდება დღევანდელ თავდაცვის მინისტრს შეესაბამება, ხოლო ერისთავი გუბერნატორს თუ არა, რაიონის გამგებელს ან და საკრებულოს თავმჯდომარეს მაინც.

ცნობილია, ფარსმან II ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ. იმ დროს ომი იწყებოდა ბუმბერაზთა ბრძოლით, აქედან ქართველი გოლიათები გადიოდნენ, იქიდან სპარსელები, როცა ისეთი გოლიათი გამოჩნდებოდა, რომელსაც ქართველი გოლიათი ვერას დააკლებდა მაშინ ფარნავაზი, ფარსმანის ძუძუმტე გადიოდა ან თვითონ ფარსმანი. მემატიანეს ცნობით, ომში ფარსმანს 17 სპარსი მოუკლავს ხოლო ფარნავაზს – 23.

განა აღსანიშნავი არ არის 16 წლის ვახტანგ გორგასალის გამარჯვება გოლიათ ბაყათარზე ანდა, ერეკლეს ბრძოლა ლეკთა ბელად მალაჩთან.

ქართველი მეომრები არასოდეს თაკილობდნენ დამარცხებული ქვეყნის წარმომადგენლებთან შერკინებას. მეისტორიე გადმოგვცემს: „ონავარ მქნელისა სპარსი ბაზარისათა სულტნის მოედანსა შინა ხელყვეს სიხარულად და ასპარეზობად, რომელი ესეცა არასოდეს ვისგან ქმნილიყო". ასე აქებს დავით სოსლანს ჟამთა აღმწერელი ირანის დალაშქვრის ჟამს.

1579 წელს ახალციხის ათაბეგს ყვარყვარეს, სულთანის ბრძანებით დააჭიდეს იქაური ფალავანი. მგზავრობით გადაღლილმა ათაბეგმა მიანც შეძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება: „პატრონი ყვარყვარე ღუთის წინაშე შეურცხვენელი და კაცთანაცა, ფალავანი დასცა ხუანთქართან და ქართველებით გამოეშურა, მისის პატრონის წყალობა ექმნა"...

სამწუხაროდ, ასე არ ხვდებოდნენ მტრის კარზე ჩასულ ქართველებს მასპინძლები. მე-13 საუკუნეში მონღოლთა ბრბომ ჩაქოლა ქართულ დესპანთა ორი წარმომადგენელი, რომლებმაც გაბედეს და დაამარცხეს მათი ორი ფალავანი. თურქებმა თავიანთ მოჯირითეს გააჯიბრეს ახალციხელი ქართველი სოლაღა, რომელმაც შუბით განგმირა ხონთქარის რჩეული ცხენოსანი. ხონთქარის მიგზავნილებმა ხმლებით აკუწეს სოლაღა.

ჭეშმარიტი სპორტი ამეგობრებს ადამიანებს, სიკეთისათვის განაწყობს, ზრდის ძმობის სულისკვეთებას. განა სპორტმა არ დააძმობილა ჩვენი ფალავნები სოსლან ანდიევთან, მუხტაი დადაშევთან, ხაბიბთან, ტიხომიროვთან და სხვებთან. დღეს, როდესაც ლაპარაკია თავისუფალ კავკასიაზე, როგორ შეიძლება იმ ძმობით არ ვიამაყოთ რომელსაც ეროვნებათა შორის განსხვავება არ გააჩნია. საქართველოში დაბადებული ოსი, აფხაზი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ქისტი თუ ლეკი ჩვენი განუყოფელი ძმა იყო, მათ საქართველოსაგან არასოდეს დედნაცვლობა არ უგრძვნიათ, მათაც დედასავით უყვარდათ ჩვენი ქვეყანა და ისე ილვწოდნენ, როგორც მისი ღვიძლი შვილები.

ოლიმპიური XXV თამაშების ჩემპიონს, ლერი ხაბელოვს გამარჯვებულთა კვარცხლბეკისაკენ უხმეს.




მაყურებელი ოვაციით შეეგება ლირსეულ ოლიმპიელს. ლერი ხაბელოვი შეჩერდა, დააყოვნა კვარცხლბეკზე ასვლა და ხელების აშკარად გამოხატული ჟესტით რაღაცას მოითხოვდა მსაჯებისაგან.

– გამოცვალეთ დროშა, – მიმართა მან მსაჯებს, – ფლაგშტოკზე რუსეთის დროშა ჰკიდია, მე საქართველოს წარმომადგენელი ვარ.

საუკუნოებმა გამოსცადა ეს ძმობა. საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა დურძუკელი ქალი შეირთო, ვახტანგ გორგასალს დედა სპარსელი ჰყავდა, დიდი თამარის მეუღლე დავით სოსლანი იყო, ქართველ ხუთ მეფეს ოსი ქალი ჰყავდა თანამეცხედრედ. დიდმა ილიამ, სულმნათმა აკაკიმ, მთის არწივმა ვაჟამ, ალექსანდრე ყაზბეგმა განა ამ ძმობას არ უმღერეს: ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, აბდულშაჰილი, ჯოყოლა, მზალო განა ამ სიყვარულით შექმნილი პერსონაჟები არ არიან. ამიტომაც არ შეიძლება ამ ძმობის დავიწყება იმ ტრადიციების უგულველყოფა საუკუნოებმა რომ გადმოგვცეს.

ჩვენგან ამ რამდენიმე ხნის წინ წასული საქართველოს უბრწყინვალესი პოეტი შოთა ნიშნიანიძე ერთ თავის ლექსში წერდა:

*რა კარგი იყავ სიცოცხლევ,*
*ვერ მოგიყირჯე ქებით,*
*მტრებიც კი მყავდნენ კარგები,*
*არათუ მარტო ძმები,*
*მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ,*
*ველარ გიხილავ ხვალე,*
*ფალავნების და მგოსნების*
*სტუმართმოყვარე მხარევ.*

დიახ, ფალავნებისა და მგოსნების სტუმართმოყვარე მხარეს უფლება არა აქვს დაკარგოს საუკუნოებით გადმოცემული ტრადიციები. მიუხედავად გაუსაძლისი სიდუხჭირისა უნდა გაუფრთხილდეთ, მოუვაროთ იმათ, ვისაც შეუძლია დაიცვას ქართული გენი, ქართული სისხლი, მსოფლიოს ასპარეზზე შეუნარჩუნოს ჩვენს ქვეყანას გმირობისა და ვაჟკაცობის საამაყო სახელი.

**ვალერიან მამუკელაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# ტორპედო ჩემპიონია, ხვალ კი ბოლო ტური

მეცხრე ტურში გაირკვა უმთავრესი, ჩემპიონის ვინაობა. „ტორპედომ" შარშანდელი მონაპოვარი შეინარჩუნა. ქუთაისში „კოლხეთს" ფრეს მიღწევის შანსიც, რომ არ ჰქონდა, ნათელი იყო. თავმოყვარე გუნდი გაჩემპიონების საუკეთესო საშუალებას ხელიდან როგორ გაუშვებდა, „ტორპედომ" დიდი ანგარიშით მოიგო ეს მატჩი და პირველობა ერთი ტურით ადრე დაიბევა. თბილისის „დინამოს" ვერცხლის მოპოვება შეეძლო, მაგრამ ეს უპირატესობა „ლოკომოტივს" გადაულოცა, დათმო რა პრინციპული მატჩი კონკურენტთან. ახლა „დინამო" „ვიტ ჯორჯიასთან" შეეცდება პრესტიჟი დაიცვას, არადა ვიტელებს თავად გაუჩნდათ ბრინჯაოს დაუფლების შანსი. მაშ ასე, ჩემპიონი ვიცით, დაგვრჩა პრიზიორთა დალაგება ცხრილში და ევრო ტურნირებში მონაწილეებსაც გზას დავულოცავთ. ხვალ ბოლო, მეათე ტურია. მატჩები, რომელიც საბოლოოდ მიუჩენს ადგილს თითოეულ გუნდს, და მეთორმეტე ეროვნულიც ისტორიის კუთვნილება გახდება.

ქვედა ექვსეულში ბათუმელებმა, ბოლნისელებმა, რუსთაველებმა თავი დაიძვრინეს სახიფათო ზონიდან და მომავალ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ. „დილას" და თსუ-ს კი ჯერ ისევ საბრძოლად აქვთ საქმე, გორელთა „სიონთან" და სტუდენტების ბათუმის „დინამოსთან" მატჩებს „დილასთვის" და თსუსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ეგ არის, ერთ-ერთი უმაღლეს ლიგას დატოვებს, მეორეს პირველ ლიგელთან გადასასვლელი მატჩის ჩატარება მოუწევს. ჩემპიონატი მთავრდება, თუმცა ინტრიგას იგი მაინც ინარჩუნებს ბოლო წუთამდე.

**საბა ლომინაძე**

## ტექნიკური შედეგები

**დინამო (თბ.) – ლოკომოტ.(თბ.) 0-1**

**დინამო:** ხაჩირაშვილი, შაშიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, მანწკავა, გაბიდაური (მიკუჩაძე 69), ბურდული, სახვაძე (აფციაური 82), იაგორაშვილი, ზირაქიშვილი, მიქაძე.
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ლაცაბიძე, ონიანი, გილაური, ჰიჰვეიშვილი, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი (დათვაძე 71), კაიდარაშვილი.
**გოლი:** 0-1 ჰიჰვეიშვილი (10).
**გააფრთხილეს:** კაიდარაშვილი, ლაცაბიძე, ხაჩირაშვილი, ბალაშვილი.
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი).

**ტორპედო – კოლხეთი 1913 5-1**

**ტორპედო:** ზოიძე, (ტოგონიძე 35), ლევან სილაგაძე, ხვადაგიანი, დიდავა, (გონჩაროვი 49), თოდუა, აბრამიძე, გუჩუა, ქემოკლიძე, იონანიძე, დ. ჯანაშია (იმედაძე 46), აშვეთია.
**კოლხეთი:** ჩემია, გოროზია, ნარსია, კვირკველია, შალამბერიძე, ვართაგავა, (ქობულაძე 46), ყურაშვილი (ხუჭუა 46), შავგულიძე, ღაღანიძე, მუმლაძე, წივწივაძე.
**გოლები:** 1-0 იონანიძე (10), 2-0 აშვეთია (19), 3-0 დ. ჯანაშია (27), 4-0 დიდავა (37), 5-0 ქობულაძე (76 საკ. კარში), 5-1 შალამბერიძე (387)
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

**მერანი – ვიტჯორჯია 1-3**

**მერანი:** ნაჭყეპია, გოგიტაძე, კვეკვესკირი, დავითნიძე, გ. ილურიძე (ბაჯელიძე 58), ხუჯაძე, მუხინი (ნათობაძე 72), დევიძე, კოშკაძე, ხუციშვილი, ქადაგიძე (კრავეიშვილი 55).
**ვიტ ჯორჯია:** ჰურაძე, თ. კობიაშვილი, ჰანკოტაძე, ინწკრიველი, ჯ. მუჯირი, დოლიძე (ლ. კვარაცხელია 77), დიღმელაშვილი, ლაშა ნოზაძე (55), გ. ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი, ლ. მელქაძე.
**გოლები:** 0-1 გოჩაშვილი (23), 0-2 მელქაძე (63), 0-3 ყიფიანი (80) 1-3 ხუციშვილი (85).
**გააფრთხილეს:** ხუჯაძე: დევიძე
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სიონი – თსუ 2-0**

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ირემაშვილი, სიდამონიძე, მინდიაშვილი (მოსეშვილი 68), გოგოლაძე (ამბიძე 72), ბარნოვი, ბ. შენგელია, ისიანი, გაბისონია (ც. მეტრეველი 85), სოლოლაშვილი.
**თსუ:** სტურუა, ხარებავა, ებრალიძე (მერებაშვილი 46), ბერიანიძე, არეშიძე, ზვ. გვაზავა (დათუნაიშვილი 63), ზ. მეტრეველი, კ. ახალაძე (შოშიაშვილი 63), მესხი, ბ. ნოზაძე, ჯობავა;
**გოლები:** 1-0 გაბისონია (35) 2-0 ისიანი (55).
**გააფრთხილეს:** ირემაშვილი, გოდერძიშვილი, გვაზავა, ახალაძე, ხარებავა, შოშიაშვილი.
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**დინამო (ბთ) – იბერია 2-1**

**დინამო:** ი. ბალაძე, გველესიანი, ქორიძე, პაპიძე, მეავანაძე, ქაცარავა, აფხაზავა, ყულეჯიშვილი (ინაიშვილი 88), რომანაძე, ტუღუში (დარჩიძე 46), ა.მუჯირი (ცინარიძე 88).
**იბერია:** ცინაძე, (ნადირაშვილი 85), ყურაშვილი (ქვანია 60), სანიკიძე, მიქელთაძე, გ. ნოზაძე, შ. ლაცაბიძე, ხმალაძე, კაკაშვილი, გულორდავა, ივეჩიანი, ჩაჩუა (ვაშაკიძე 78).
**გოლები:** 0-1 მიქელთაძე (38 საკ. კარში), 1-1 ხმალაძე (49), 2-1 დარჩიძე (75).
**მსაჯი:** მ. მაისურაძე (თბილისი).

**გორდა – დილა 3-2**

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბურნაძე, ლაშა სილაგაძე, ბერიძე, ზ. ლაბაძე (მიშველაძე 84), მელაძე, თ. მეტრეველი, კ. ალადაშვილი, ჯუღელი, ჯელაძე (კიტეიშვილი 65).
**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, ხაჰაპურიძე, გაგნიძე, გოჩაშვილი, თაყაძე (მაისურაძე 72), ლომიძე (გ. ჩიტაია 86) საყვარელიძე (ბოკერია 77), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი.
**გოლები:** 1-0 ჯელაძე (2), 1-1 რევაზიშვილი (8), 2-1 ლაბაძე (18), 3-1 ჯუღელი (61), 3-2 ხორგუაშვილი (71).
**გააფრთხილეს:** აკოფიანი, რევაზიშვილი, ალადაშვილი, ჯელაძე, ბურნაძე.
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

### საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**I – VI ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 6 | 2 | 1 | 15-6 | 44 |
| ლოკომოტივი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-9 | 38 |
| დინამო (თბ) | 9 | 3 | 4 | 2 | 13-9 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 3 | 2 | 14-9 | 34 |
| კოლხ.-1913 | 9 | 2 | 1 | 6 | 10-19 | 23 |
| მერანი-91 | 9 | 1 | 2 | 6 | 2-15 | 18 |

**VII – XII ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 9 | 5 | 3 | 1 | 13-4 | 32 |
| სიონი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-10 | 27 |
| გორდა | 9 | 4 | 2 | 3 | 13-13 | 23 |
| დილა | 9 | 4 | 1 | 4 | 17-10 | 22 |
| თსუ | 9 | 3 | 1 | 5 | 8-17 | 20 |
| იბერია | 9 | 0 | 1 | 8 | 7-23 | 3 |

### პირველი ლიგა

**IX ტური**

**I – VI ადგილები**

მეტალურგი – სამგურალი 1-0
ცხინვალი – შუქურა 3-1
მილანი – გურია-ლოკ-2 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია-ლოკ2 | 9 | 5 | 2 | 2 | 12- 8 | 38 |
| მილანი | 9 | 5 | 1 | 3 | 16-5 | 37 |
| მეტალურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 9-11 | 35 |
| სამგურალი | 9 | 4 | 3 | 2 | 11-7 | 35 |
| ცხინვალი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-12 | 29 |
| შუქურა | 9 | 0 | 3 | 6 | 3-16 | 23 |

**VII – XII ადგილები**

დინამო (ზ) – ოკეანე 0-3
ივერია – კოლხეთი (ხ) 5-1
თბილისი – თორი 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 9 | 5 | 1 | 3 | 10-7 | 31 |
| კოლხეთი (ხ) | 9 | 5 | 1 | 3 | 14-10 | 29 |
| ოკეანე | 9 | 5 | 3 | 1 | 14-7 | 28 |
| ივერია | 9 | 5 | 1 | 3 | 22-8 | 24 |
| თბილისი | 9 | 4 | 0 | 5 | 7-12 | 21 |
| დინამო (ზ) | 9 | 0 | 0 | 9 | 0-25 | 12 |

# „ნიჭიერ თაობას ვერ დავკარგავ..."

**საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს პრინციპული მატჩი ელის იტალიელ თანატოლებთან. პრინციპული იმ თვალსაზრისით, რომ ძლიერ მეტოქესთან ტოლსწორად ჭიდილი ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას მისცემს, ძალებს და რწმენას შემატებს. თანაც ვახტანგ კოპალეიშვილისთვის ნაკრების თავკაცის რანგში ეს მატჩი პირველია. მერე კი უნგრეთია. ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ჩვენი საუბარიც ამ მატჩებისთვის სამზადისს შეეხო.**

**● შესარჩევ ტურნირში გუნდის ჩავარდნის მრავალ მიზეზზე შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ უმთავრესი მაინც ალბათ ისაა, რომ აქცენტი ლეგიონერებზე გაკეთდა, რომელთა უმეტესობას სათამაშო პრაქტიკა აკლდა.**




– გეთანხმებით, შესარჩევი ციკლის ცუდი დასაწყისი ამანაც განაპირობა. მაგრამ გუნდში მათი რაოდენობა 4-5 ფეხბურთელით შემოიფარგლება. ზოგიერთს მეტნაკლებად უწევს თამაში, ხელაღებით ლეგიონერებზე უარის თქმა უაზრობაა. ნაკრებში ახლებსაც დავუძახე, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს. ვისაც ნაკრებში მოვიწვევ, მათი იმედი მექნება. ეს თაობა ნიჭიერია, მათ ვერ დავკარგავ, 80-იანი წლების თაობის პოტენცია სრულად უნდა გამოვიყენოთ, ლეგიონერების უთამაშებლობა მართლაც პრობლემატურია ჩვენთვის. გუნდის არასტაბილურობას ფეხბურთელთა იშვიათი თამაშიც განაპირობებს. სათამაშო პრაქტიკა აუცილებელია.

**● იმედი ახსენეთ, ოპტიმიზმის საფუძველს ალბათ ისიც გაძლევთ, რომ მათ შესაძლებლობებს კარგად იცნობთ...**

– ასეც არის. ნაკრების ძირითადი ბირთვი შერჩეული მყავს. პარალელურად სასელექციო მუშაობასაც ვაგრძელებთ. ნაკრების კანდიდატთა შერჩევა ფოთშიც, ბათუმშიც, ქვეყნის სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობს.

**● რომელი რგოლია გასაძლიერებელი იტალიელებთან მატჩისთვის?**

– ნახევარდაცვაა გასაძლიერებელი, საერთოდ ამ მატჩში რისკი გამორიცხულია. გუნდში ის ითამაშებს, ვინც მატჩისთვის მზად იქნება ფსიქოლოგიურად და კარგ სპორტულ ფორმას შეინარჩუნებს. ვიმედოვნებ, ბიჭები თავისუფლად ითამაშებენ, იმ წნეხს დასძლევენ, რაც ასეთი რანგის თამაშებს თან ახლავს.

**● რამდენად სავარაუდოა, რომ ეს წნეხი ისევ არ დათრგუნავს გუნდს?**

– ფეხბურთელის შეგნებაში უნდა ჩაჯდეს ის, რომ თამაშს იგებს და აგებს გუნდი და არა ცალკეული მოთამაშე. მინდა ნაკრებში მყავდეს ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მეტოქის არ შეეშინდება. მოთამაშეს უნდა ესმოდეს, რა არის ტაქტიკა, პერსონალური თამაში, ისინი ერთმანეთს უნდა უადვილებდნენ თამაშს. იმედი მაქვს ბიჭები გულიანად გაირჯებიან და ყველაფერს გაიღებენ კარგი შედეგის მისაღწევად.

**● მზადებას როდის დაიწყებთ?**

– გუნდი 27 მაისს შეიკრიბება, ჩავატარებთ გასაუბრებას და ვარჯიშს. 28 მაისს ვიტ ჯორჯიას ახალგაზრდულ გუნდთან ვითამაშებთ საკონტროლო შეხვედრას. 29 მაისს სასტუმრო „მონოპოლში" დავბინავდებით, 30-31 მაისს ეროვნულზე ვივარჯიშებთ 19 საათზე. 29-ში შეიძლება „დინამოს" ბაზაზეც ვივარჯიშოთ.

**● ნაკრების კანდიდატთა ჯანმრთელობა როგორია?**

– ჯაკობიას გარდა ყველა მწყობრშია, მას კუნთი აქვს დაზიანებული, თუმცა, შეიძლება მატჩამდე მომჯობინდეს და ითამაშოს. ის ნაკრებისთვის საჭირო ფორვარდია.

ჩვენც გვსურს მწვრთნელის აზრი და ოპტიმიზმი გავიზიაროთ. ვახტანგ კოპალეიშვილის წინა წლებში მიღწევების გათვალისწინებით; შეგირდებმა არც ამჯერად უნდა გააწბილონ მწვრთნელი.

**მიხეილ საბახტარიშვილი**




# მსაჯები, ინსპექტორები

## უმაღლესი და პირველი ლიგა ● X ტურის ანონსი

**22 მაისი**

**იბერია – გორდა.** მთავარი მსაჯი-მეშკოვი, ასისტენტები – მენთეშაშვილი, სილაგავა, მეოთხე მსაჯი – კვარაცხელია, ინსპექტორი – ჯ. ზეინკლიშვილი.
**დილა – სიონი.** მთავარი მსაჯი – ფანიაშვილი, ასისტენტები – დოლიძე, ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი – მაისურაძე, ინსპექტორი – ე. სილაგავა.
**თსუ – დინამო (ბთ).** მთავარი მსაჯი – შილაკაძე. ასისტენტები – ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე. მეოთხე მსაჯი – ორდინიძე, ინსპექტორი – ი. მჭედლიშვილი.

**23 მაისი**

**ვიტ ჯორჯია – დინამო (თბ).** მთავარი მსაჯი – კვარაცხელია, ასისტენტები – სახარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი – შილაკაძე, ინსპექტორი – ო. გუნთაძე.
**ლოკომოტივი – ტორპედო.** მთავარი მსაჯი – ანიაშვილი, ასისტენტები – ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი მალაღურაძე – ინსპექტორი – გ. ფირცხალავა.
**კოლხეთი 1913 – მერანი 91.** მთავარი მსაჯი – სანაია, ასისტენტები – მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი – მესხი, ინსპექტორი – რ. ჩილაჩავა.

### პირველი ლიგა

**22 მაისი**

**სამგურალი – მილანი.** მთავარი მსაჯი – მესხი
**გურია – ლოკ2 – ცხინვალი.** მთავარი მსაჯი – დოგრაშვილი
**შუქურა – მეტალურგი.** მთავარი მსაჯი – ა. შალამბერიძე.

**23 მაისი**

**ოკეანე – თბილისი.** მთავარი მსაჯი – კრიჭაშვილი
**თორი – ივერია.** მთავარი მსაჯი – კიკაჩეიშვილი

თავისუფალი

# ფეხბურთი და საბაზრო ეკონომიკა

ქართული ფეხბურთის საბაზრო ეკონომიკასთან შეხება, ძირითადად, „მრეტებიდან“ იწყება. სწორედ ამ საფეხბურთო კლუბში აიდგა ფეხი გიორგი ქინქლაძემ, იქვე ჩამოყალიბდა, როგორც ფეხბურთელი, შემდეგ თბილისის „დინამოში“ დავაქკაცდა და დაღვინდა. გარკვეული დროის შემდეგ ქინქლაძე, ტრანსფერის მეშვეობით, ინგლისში მოხვდა. ჩვენ აქ არ შევეხებით იმ აჟიოტაჟს, რაც წლების მანძილზე თან სდევდა ამ ფეხბურთელის თაობაზე „მრეტებისა“ და „დინამოს“ გაჭიანურებულ დავას. „ლელოს“ მკითხველისთვის ისედაც ყველაფერი ცნობილია.

მსოფლიო ჩემპიონატების დამთავრებისთანავე განსაკუთრებით ცხოველდება ფეხბურთელთა სატრანსფერო პროცესი. გავიხსენოთ 1990 წელი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრები გახდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონი, ამ გუნდის თითოეული მოთამაშის ფასმა საოცრად აიწია. მაშინ მათეუსი იტალიის „ინტერმა“ შეიძინა, როიტერი და კოლერი — „იუვენტუსმა“.

იმავე 1990 წელს რუმინეთის ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშე, რომლებიც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, გაიყიდნენ საზღვარგარეთის კლუბებში. აი, როგორ გამოიყურებოდა იმ დროს რუმინელ ფეხბურთელთა კონტრაქტების ღირებულება: გ. ჰაჯი 4,1 მილიონ დოლარად გადავიდა მადრიდის „რეალში“, რადოჩოიუ 2,4 მილიონ დოლარად იტალიის „ბარიში“, გ. პოპესკუ 2 მილიონ დოლარად ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“, მ. ლეკეტუში 1,5 დოლარად „ფიორენტინაში“...

სხვათა შორის, რუმინელი ვეტერანები გ. ჰაჯი და გ. პოპესკუ ამჟამადაც წარმატებით თამაშობენ სტამბოლის „გალათასარაიში“.

საერთოდ, ფეხბურთელების შეძენაში იტალიელებს, ტოლს არ უდებენ ესპანეთისა და საფრანგეთის მულტმილიონერები.

ადრე, საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში ფეხბურთელთა გადასვლა და შესაბამისად კონტრაქტების დადება კატეგორიულად იყო აკრძალული. სამაგიეროდ, თვით ქვეყნის შიგნით ზოგიერთი საფეხბურთო კლუბების მიმართ ფარული გზით ხდებოდა სხვადასხვა მატერიალური დახმარებების გაწევა, რათა თავიანთი ფეხბურთელების მოთხოვნილება მინიმალურად მაინც დაკმაყოფილებულიყო.

ალბათ, ბევრს ახსოვს ვოროშილოვგრადის „ზარია“, რომელიც 1972 წელს სრულიად მოულოდნელად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. სულ მოკლე დროში ამ გუნდმა სახელი გაითქვა და ერთი პერიოდი საბჭოთა ნაკრების საბაზო გუნდად მიიჩნიეს. გავიდა ხანი და „საიდუმლოება“ გაიხსნა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ „ზარიას“ ასეთი მოულოდნელი, ელვისებური გაელვების, აღზევებისა და ტრიუმფის მთავარი მიზეზი ყოფილა მაშინდელი ვოროშილოვგრადის თბომავალმშენებელი ქარხნის დირექტორი. იგი მეცენატობას და სპონსორობას უწევდა ამ გუნდს და ყველა მოგებული თამაშის შემდეგ თითოეულ ფეხბურთელს 1000-1000 მანეთს აძლევდა, რაც იმ დროს ძალზე მაღალ თანხად ითვლებოდა. მაგრამ საქმე „გასკდა“ და დირექტორი მატერიალური წახალისების ფონდის არასწორი და არამიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადასცეს. ამის შემდეგ „ზარიას“ მთავარმა მწვრთნელმა, გერმან ზონინმა და წამყვანმა ფეხბურთელებმა გუნდი ბედისანაბარად მიატოვეს და სხვადასხვა გუნდებში გადაბარგდნენ. უპატრონოდ მიტოვებული „ზარია“, ჯერ უმაღლეს ლიგას, ხოლო შემდეგ პირველ ლიგასაც გამოეთხოვა.

გავიხსენოთ გასული საუკუნის 60-70-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთში ჰეგემონია მოიპოვა კიევის „დინამომ“. კიეველთა ასეთ აღმაფრენას და წარმატებას, როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, დასაბამი მისცა მაშინდელმა უკრაინის კომპარტიის ცკ-ს პირველმა მდივანმა პეტრე შელესტმა. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ კიევის „დინამოს“ შეეძლო თავისთან გადაებირებინა სხვა გუნდებიდან ყველაზე პერსპექტიული და უძლიერესი ფეხბურთელები. მათ აძლევდნენ კიევში ბინებს, ავეჯს, ავტომანქანებს და უწევდნენ ყოველგვარ მატერიალურ დახმარებას. ჩვენ არ ვაკნინებთ კიევის „დინამოს“ სხვადასხვა პერიოდის შესანიშნავი მწვრთნელების, — ვიქტორ მასლოვის, ან ვალერი ლობანოვსკის დიდ დამსახურებას უკრაინული ფეხბურთის წინაშე, მაგრამ ქვეყნის უპირველესი პატრონის როლი გაცილებით უფრო დიდი იყო და ამჟამადაც არის.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა გავიხსენოთ, თუ რა მდგომარეობა იყო ადრე და არის ამჟამად ქართულ ფეხბურთში.

ჯერ კიდევ გასული საკუნის 50-იან წლებში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ყოველი თამაშის დაწყების წინ, დიქტორი აცხადებდა, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელს, თამაშის დამთავრების შემდეგ გადაეცემოდა სამახსოვრო პრიზი, — ფასიანი საჩუქარი. ასეთ დროს ავთანდილ ჭკუასელი თამაშში აქსოვდა მთელ თავის ენერგიას, მონდომებას, უზადო ტექნიკას და აზარტს, რითაც ის საფეხბურთო მინდორზე ყველასგან გამოირჩეოდა. ასეთ მატჩებში მას გამარჯვების გოლებიც გაჰქონდა და კიდეც გადასცემდნენ ხოლმე დაწესებულ პრიზს, მაჯის საათს „პობედას“. დიახ, ასეთი იყო მაშინ წახალისების საშუალება.

იყო დრო, როდესაც თბილისის „დინამოს“ და მის ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი მიშა მესხს და სლავა მეტრეველს მეცენატობდნენ ნემსაძე და ლაზიშვილი. სწორედ მათი დამსახურება თუ „დანაშაული“ იყო 1963 წელს სლავა მეტრეველის მოსკოვის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ გადმოყვანა. მას დაახვედრეს პრესტიჟულ უბანში კეთილმოწყობილი ბინა, ავეჯი, ავტომანქანა „ვოლგა“ და ა.შ. მიშა მესხის და სლავა მეტრეველის უდიდესი დამსახურება იყო ჯერ 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების მიერ პირველად და უკანასკნელად ევროპის თასის დაუფლება, შემდეგ, 1964 წელს, თბილისის „დინამოს“ მიერ პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება და ოქროს მედლების მოპოვება. მაგრამ გავიდა ხანი და მსოფლიოში აღიარებული „ქართული ფრთები“, მიშა მესხი და სლავა მეტრეველი ისე ძალზე ნაადრევად წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მოასწრეს ნორმალურად ეცხოვრათ და ემოღვაწათ. ჯეროვნად ვერ დაფასდა მათი უდიდესი ღვაწლი ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ავტორიტეტის ამაღლებაში.

ამჟამად, როდესაც „საბაზრო ეკონომიკის“ პირობებში ვცხოვრობთ, ქვეყანაში გვყავს საკუთარი მილიონერები თუ მულტიმილიონერები, მეცენატობა და სპონსორობა, ლეგალიზებულია, დასაშვებია საფეხბურთო კლუბების პატრონობა, არ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ფინანსებით ხელს შეუწყობდნენ ქართული ფეხბურთის აღმავლობას და აყვავებას.

ამ ბოლო დროს მსოფლიოს ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფეხბურთელებზე ფასები გაუგონრად გაიზარდა. ყველაზე დიდი ტრანსფერი 2000 წელს შედგა, როდესაც მადრიდის „რეალმა“ შეიძინა „ბარსელონასგან“ ლუიშ ფიგუ 56,1 მილიონ დოლარად. ჯერჯერობით ლუიშ ფიგუ ყველაზე ძვირფადღირებული ფეხბურთელია მსოფლიოში. მაგრამ არაა გამორიცხული, 100-მილიონიან დოლარის ღირებულების ფეხბურთელზე კონტრაქტი უახლოეს წლებში გააფორმეს. აკი მადრიდის „რეალმა“ შესთავაზა „იუვენტუსს“, ზინედინ ზიდანი 92 მილიონ დოლარად მიყიდოს. ჯერჯერობით თვით ზიდანს არ სურს დატოვოს „იუვენტუსი“ და აცხადებს, რომ მას იტალიაში ურჩევნია თამაში. ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება ვიცოდეთ მსოფლიოს ზოგიერთი ფეხბურთელის ტრანსფერის შედეგები, რომელსაც ცხრილის სახით გთავაზობთ.

| ფეხბურთელის დასახელება | გუნდი, რომელმაც ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე | გუნდი, რომელმაც ფეხბურთელი შეიძინა | ფეხბურთელზე გადახდილი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1. ლუიშ ფიგუ | „ბარსელონა“ | „რეალი“ | 56,1 მლნ. დოლარი |
| 2. ერნან კრესპო | „პარმა“ | „ლაციო“ | 54,1 მლნ დოლარი |
| 3. კრისტიან ვიერი | „ლაციო“ | „ინტერი“ | 50,0 მლნ დოლარი |
| 4. ნიკოლა ანელკა | „არსენალი“ | „რეალი“ | 35,7 მლნ. დოლარი |
| 5. დენილსონი | „სან-პაულო“ | „ბეტისი“ | 35,0 მლნ. დოლარი |
| 6. გაბრიელ ბატისტუტა | „ფიორენტინა“ | „რომა“ | 33,8 მლნ. დოლარი |
| 7. ნიკოლო ამოროზო | „უდინეზე“ | „პარმა“ | 33,1 მლნ დოლარი |
| 8. ნიკოლა ანელკა | „რეალი“ | „პსჟ“ | 31,2 მლნ. დოლარი |
| 9. ხუან სებასტიან ვერონი | „პარმა“ | „ლაციო“ | 29,0 მლნ. დოლარი |
| 10. კრისტიან ვიერი | „ინტერი“ | „ლაციო“ | 28,0 მლნ. დოლარი |

*შენიშვნა: 1. ცხრილი ჩვენს მიერ არის შედგენილი იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მოყვანილია გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიდან“ (№17. 2001 წლის აპრილი).*

2. როგორც ცხრილიდან ჩანს, ანელკა და ვიერი ორჯერ გაიყიდა.

რაც შეეხება ყველაზე მდიდარ კლუბებს, აქ უდავო ფავორიტია „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომლის წლიური საბრუნავი თანხები 141 მილიონ დოლარს შეადგენს. შემდეგ მოდიან: მადრიდის „რეალი“ — 115 მილიონი, „ბავარია“ — 104 მილიონი, „იუვენტუსი“ — 88 მილიონი, „ნიუკასლი“ — 79 მილიონი, „ბარსელონა“ — 78 მილიონი, „მილანი“ — 78 მილიონი, „ინტერი“ — 77 მილიონი, „ჩელსი“ — 76 მილიონი, „ლივერპული“ — 73 მილიონი, დორტმუნდის „ბორუსია“ — 66 მილიონი, „პარმა“ — 53 მილიონი, „ტოტენჰემი“ — 50 მილიონი, და „რომა“ — 49 მილიონი (ყველა მონაცემი აშშ დოლარებშია).

შეიძლება ეს თანხები უკვე მოძველებულია, მაგრამ კლუბების განლაგების თანმიმდევრობა უცვლელია.

ტრანსფერის გზით სხვა ქვეყნების კლუბებში გადასული ქართველი ფეხბურთელები იყვნენ და არიან: ცხადაძე, შელია, ქინქლაძე, ძმები არველაძეები, ჯამარაული, ყაველაშვილი, ქეცბაია, ჯანაშია, კობიაშვილი, იაშვილი, კალაძე, დემეტრაძე, ნემსაძე, ალექსიძე, ხიზანიშვილი და სხვები. ჩვენი ფეხბუროელების გადინება საზღვარგარეთის ქვეყნებში კვლავ გრძელდება... აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველ ფეხბურთელთა ტრანსფერის საქმეში გაურკვეველი ვითარებაა, აქ „საბაზრო ეკონომიკა“ საიდუმლოებითაა მოცული, არ ვიცით რა ფასად იძენენ ჩვენს ფეხბურთელებს, შესაბამისად უცნობია ვინ რამდენ იღებს ამ გარიგებებიდან.

აქვე გვახსენდება ის დრო, როდესაც ვლადიკავკაზის „ალანია“ ქართველ ფეხბურთელებს „ჩალის ფასად“ იძენდა, ილუზიებისა და მოჩვენებითობის შესაქმნელად, გარკვეული დროის მანძილზე თავისთან ათამაშებდა, ხოლო შემდეგ მათ გაცილებით ძვირად ყიდდა სხვა ქვეყნებში. სამწუხაროდ, კვლავაც გაურკვეველია, თუ ვინ და რამდენს ხეირობს ჩვენი ფეხბურთელების ხარჯზე.

იმისათვის, რომ ფეხბურთისადმი ინტერესი გაიზარდოს, საჭიროა შევქმნათ საკუთარი „ვარსკვლავები“, ისე, როგორც ეს ხდება ცივილიზებულ მსოფლიოში. აქვე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ვარსკვლავების“ შექმნას (უფრო სწორედ კი მათი იმიჯის შექმნას) ხელს უწყობს სარეკლამო კამპანია — პრესის, რადიოს და ტელევიზიის მეშვეობით, რაც ფულადი კაპიტალის დაბანდებას მოითხოვს და ეს უნდა მოხდეს ისევ და ისევ ჩვენი კლუბების მომავალი სპონსორების თუ მეპატრონეების ხარჯზე.

ყველამ უნდა იცოდეს და ირწმუნოს, რომ დღეს მსოფლიო სტანდარტად მიიჩნევა მხოლოდ ჩვენი კარგი ფეხბურთი, კარგი შემსრულებლებით, ანუ მასში „ვარსკვლავების“ მონაწილეობით. და ამ პროცესს სტიმულს საბაზრო ეკონომიკა აძლევს, რაც ჯერჯერობით ვერა და ვერ მოვირგეთ, თუ ვერ მოვერგეთ...

**გურამ ჩხიკვაძე**

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## გაზაევი – რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი

ვალერი გაზაევი, რომელიც ერთი თვის წინათ გამოეთხოვა მოსკოვის „დინამოს“, დაინიშნა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად. მას იმედი აქვს, რომ ამ ნაკრების ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანს.




## კუპერი – „ინტერში“

დამთავრდა მოლაპარაკება ექტორ რაულ კუპერსა და მილანის „ინტერის“ დირექტორატს შორის — ზაფხულიდან არგენტინელი სპეციალისტი, რომელიც აქამდე წარმატებით უძღვებოდა „ვალენსიას“, იტალიაში გადადის. როგორც კუპერმა განაცხადა, იგი აპირებს „ინტერში“ მოიწვიოს არგენტინელი ვერონი რომის („ლაციოდან“), რუმინელი კონტრა ვიტორიის („ალავესიდან“) და ფრანგი ლუქსენი „პარი სენჟერმენიდან“.




## დავიდსის მეორე ტესტიც დადებითია

**ედგარ დავიდსი ტურინის („იუვენტუსი“) დოპინგ-ტესტის დადებითი შედეგის მიუხედავად უარყოფდა, რომ რაიმე აკრძალულ საშუალებას მიმართავდა, მაგრამ მეორე ტესტმაც იგივე დაადასტურა. ახლა ჰოლანდიელს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის.**




## გადამწყვეტ მატჩში, სუმგაითში

**აზერბაიჯანის პირველობის უკანასკნელმა ტურმა ქვეყნის ჩემპიონი ვერ გამოავლინა. 51-51 ქულით დაასრულეს შეჯიბრება „შამქორმა“ და „ნეფტჩიმ“. ამიტომ გადაწყდა მათ შორის გადამწყვეტი მატჩის მიწყობა, რომელიც წინასწარი ცნობით, ქ. სუმგაითში უნდა გაიმართოს. მესამე ადგილი 38 ქულით (!) „ვილიაშს“ დარჩა, რომელიც, როგორც ხედავთ, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ჩემპიონობისათვის ბრძოლაში. „ვილიაში“ ინტერტოტოს გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.**

## ცხრაგზის ჩემპიონი პირველ ბუნდესლიგას დაუბრუნდა

გერმანიის ცხრაგზის ჩემპიონ „ნიურნბერგს“ უკანასკნელ წლებში მძიმე კრიზისი ჰქონდა. ორი ბოლო სეზონი მან მეორე ბუნდესლიგაში გაატარა. ახლა ეს უსიამოვნო პერიოდი დამთავრდა. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე (XXXII ტურის შემდეგ) „ნიურნბერგმა“ 62 ქულა მოაგროვა და უკვე ოფიციალურად გაიფორმა პირველი ბუნდესლიგის საგზური.

კიდევ ორი საგზურის მოპოვების შესაძლებლობები ჰქონდა მენხენგლადბახის „ბორუსიასა“ და ჰამბურგის „სანკტ-პაულის“. მათ მოიგეს უკანასკნელი მატჩები და დაუბრუნდნენ პირველ ბუნდესლიგას.

## ნიგმატულინის მიწვევა „ფულჰემს“ სურს

**ლონდონის „ფულჰემს“, რომელმაც ინგლისის პირველი დივიზიონის ასპარეზობაში გაიმარჯვა, სურს მოსკოვის „ლოკომოტივის“ მეკარე რუსლან ნიგმატულინის მიწვევა. ნიგმატულინის ავტორიტეტი, მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაკრების ძირითადი მეკარე გახდა, მკვეთრად გაიზარდა. საინტერესოა, რომ მას უკანასკნელ ხანებში მიწვევა ჰქონდა სამი იტალიური კლუბის: „რეჯინას“, „ნაპოლისა“ და „ლაციოსაგან“, აგრეთვე ესპანური „ლას პალმასისა“, თურქული „გალათასარაისა“ და პორტუგალიური „სპორტინგისაგან“.**

**თვით ნიგმატულინს და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მესვეურებს მაინც „ფულჰემის“ არჩევა სურთ. მეკარე რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრებამდე „ლოკომოტივში“ დარჩება.**

## „კორიერე დელო სპორტის“ აზრით

რომის გაზეთ „კორიერე დელო სპორტის“ მიმომხილველის აზრით, უეფას თასის ფინალურმა მატჩმა „ლივერპულსა“ და „ალავესს“ შორის ნამდვილად არ გაამართლა იმედები. ცდებოდნენ მეკარეები, ძალიან სუსტად ითამაშა ორივე დაცვამ. თუმცა მწვრთნელებმა ჟერარ ულიემ („ლივერპული“) და მანემ კმაყოფილება კი გამოთქვეს თავიანთი გუნდების თამაშით, მაგრამ ეს არ იყო ფინალისათვის შესაფერისი მატჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXXV ტური

| | |
|---|---|
| ვალენსია – ბილბაო | 1-0 |
| ალავესი – ბარსელონა | 0-1 |
| სოსიედადი – მალაგა | 4-0 |
| ვალიადოლიდი – რასინგი | 1-1 |
| ესპანიოლი – მალიორკა | 0-1 |
| სელტა – ნუმანსია | 1-1 |
| ოსასუნა – ლას-პალმასი | 3-3 |
| ოვიედო – დეპორტივო | 2-3 |
| სარაგოსა – ვილიარეალი | 0-0 |
| რაიო – რეალი | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 35 | 22 | 7 | 6 | 73-38 | 73 |
| დეპორტივო | 35 | 20 | 7 | 8 | 67-42 | 67 |
| ვალენსია | 35 | 18 | 8 | 9 | 52-29 | 62 |
| მალიორკა | 35 | 17 | 11 | 7 | 49-39 | 62 |
| ბარსელონა | 35 | 16 | 11 | 8 | 75-52 | 59 |
| სელტა | 35 | 14 | 10 | 11 | 48-48 | 52 |
| ვილიარეალი | 35 | 14 | 9 | 12 | 52-51 | 51 |
| მალაგა | 35 | 14 | 8 | 13 | 55-55 | 50 |
| ალავესი | 35 | 14 | 7 | 14 | 55-48 | 49 |
| ესპანიოლი | 35 | 13 | 8 | 14 | 42-36 | 47 |
| ლას პალმასი | 35 | 12 | 7 | 16 | 39-58 | 43 |
| ბილბაო | 35 | 11 | 10 | 14 | 42-51 | 43 |
| სარაგოსა | 35 | 9 | 13 | 13 | 52-54 | 40 |
| რაიო | 35 | 9 | 13 | 13 | 54-62 | 40 |
| სოსიედადი | 35 | 10 | 9 | 16 | 48-65 | 39 |
| ვალიადოლ. | 35 | 8 | 14 | 13 | 37-45 | 38 |
| ოვიედო | 35 | 10 | 7 | 18 | 47-62 | 37 |
| ოსასუნა | 35 | 8 | 12 | 15 | 41-52 | 36 |
| რასინგი | 35 | 9 | 8 | 18 | 43-59 | 35 |
| ნუმანსია | 35 | 8 | 9 | 18 | 35-60 | 33 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ბოავიშტა – ავეში | 3-0 |
| მარიტიმუ – გიმარაეში | 1-0 |
| ფარენსე – ბრაგა | 1-0 |
| ფერეირა – ალვერკა | 2-2 |
| ბელენენსეში – ჟილ ვისენტე | 1-3 |
| ბენფიკა – სალგეირუში | 1-1 |
| ლეირია – ბეირა მარი | 1-0 |
| კამპომაიორ. – სპორტინგი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 33 | 23 | 8 | 2 | 63-16 | 77 |
| პორტუ | 32 | 22 | 4 | 6 | 66-25 | 70 |
| სპორტინგი | 33 | 18 | 5 | 10 | 55-37 | 59 |
| ბრაგა | 33 | 16 | 9 | 8 | 55-43 | 57 |
| ბენფიკა | 33 | 15 | 8 | 10 | 50-40 | 53 |
| ლეირია | 33 | 14 | 11 | 8 | 41-38 | 53 |
| ბელენენსეში | 33 | 14 | 10 | 9 | 43-34 | 52 |
| ფერეირა | 33 | 12 | 12 | 9 | 46-36 | 48 |
| ბეირა მარი | 33 | 14 | 6 | 13 | 42-46 | 48 |
| მარიტიმუ | 33 | 12 | 7 | 14 | 34-36 | 43 |
| ალვერკა | 33 | 11 | 7 | 15 | 43-51 | 40 |
| სალგეირუში | 33 | 12 | 4 | 17 | 39-55 | 40 |
| ფარენსე | 33 | 10 | 9 | 14 | 37-46 | 39 |
| ჟილ ვისენტე | 33 | 9 | 7 | 17 | 31-40 | 34 |
| გიმარაეში | 33 | 8 | 9 | 16 | 40-49 | 33 |
| კამპომაიორ. | 33 | 7 | 11 | 15 | 28-56 | 32 |
| ავეში | 33 | 4 | 9 | 20 | 27-64 | 21 |
| ამადორა | 33 | 4 | 6 | 22 | 25-51 | 18 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XXXVIII ტური

| | |
|---|---|
| ჩარლტონი – ლივერპული | 0-4 |
| ქოვენთრი – ბრედფორდი | 0-0 |
| დერბი – იფსვიჩი | 1-1 |
| ევერტონი – სანდერლენდი | 2-2 |
| ლიდსი – ლესტერი | 3-1 |
| მანჩესტერ სიტი – ჩელსი | 1-2 |
| მიდლსბრო – ვესტ ჰემი | 2-1 |
| ნიუკასლი – ასტონ ვილა | 3-0 |
| საუთჰემპტონი – არსენალი | 3-2 |
| ტოტენჰემი – მანჩესტერ იუნ. | 3-1 |

*საბოლოო ცხრილი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 38 | 24 | 8 | 6 | 79-31 | 80 |
| არსენალი | 38 | 20 | 10 | 8 | 63-38 | 70 |
| ლივერპული | 38 | 20 | 9 | 9 | 71-39 | 69 |
| ლიდსი | 38 | 20 | 8 | 10 | 64-43 | 68 |
| იფსვიჩი | 38 | 20 | 6 | 12 | 57-42 | 66 |
| ჩელსი | 38 | 17 | 10 | 11 | 68-45 | 61 |
| სანდერლენ. | 38 | 15 | 12 | 11 | 46-41 | 57 |
| ასტონ ვილა | 38 | 13 | 15 | 10 | 46-43 | 54 |
| ჩარლტონი | 38 | 14 | 10 | 14 | 50-57 | 52 |
| საუთჰემპტ. | 38 | 14 | 10 | 14 | 40-48 | 52 |
| ნიუკასლი | 38 | 14 | 9 | 15 | 44-50 | 51 |
| ტოტენჰემი | 38 | 13 | 10 | 15 | 47-54 | 49 |
| ლესტერი | 38 | 14 | 6 | 18 | 39-51 | 48 |
| მიდლსბრო | 38 | 9 | 15 | 14 | 44-44 | 42 |
| ვესტ ჰემი | 38 | 10 | 12 | 16 | 45-50 | 42 |
| ევერტონი | 37 | 11 | 8 | 17 | 45-58 | 42 |
| დერბი | 38 | 10 | 12 | 16 | 37-59 | 42 |
| მანჩ. სიტი | 38 | 8 | 10 | 20 | 41-65 | 34 |
| ქოვენთრი | 38 | 8 | 10 | 20 | 36-63 | 34 |
| ბრედფორდი | 38 | 5 | 11 | 22 | 30-70 | 26 |

## იტალია
### სერია A. XXXI ტური

| | |
|---|---|
| მილანი – ფიორენტინა | 1-2 |
| პარმა – ინტერი | 3-1 |
| ატალანტა – რეჯინა | 1-1 |
| ბარი – რომა | 1-4 |
| ბოლონია – იუვენტუსი | 1-4 |
| ლაციო – უდინეზე | 3-1 |
| ნაპოლი – ვერონა | 2-0 |
| პერუჯა – ბრეშა | 2-2 |
| ვიჩენცა – ლეჩე | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 31 | 21 | 7 | 3 | 62-29 | 70 |
| ლაციო | 31 | 20 | 5 | 6 | 61-33 | 65 |
| იუვენტუსი | 31 | 18 | 10 | 3 | 55-26 | 64 |
| პარმა | 31 | 15 | 8 | 8 | 47-25 | 53 |
| მილანი | 31 | 12 | 11 | 8 | 53-42 | 47 |
| ინტერი | 31 | 12 | 8 | 11 | 42-44 | 44 |
| ატალანტა | 31 | 10 | 13 | 8 | 36-30 | 43 |
| ფიორენტინა | 31 | 10 | 12 | 9 | 51-46 | 42 |
| ბოლონია | 31 | 11 | 9 | 11 | 42-44 | 42 |
| პერუჯა | 31 | 10 | 11 | 10 | 47-49 | 41 |
| ბრეშა | 31 | 8 | 13 | 10 | 38-39 | 37 |
| უდინეზე | 31 | 10 | 4 | 17 | 46-56 | 34 |
| ვიჩენცა | 31 | 8 | 9 | 14 | 33-44 | 33 |
| ლეჩე | 31 | 7 | 12 | 12 | 35-49 | 33 |
| ნაპოლი | 31 | 7 | 10 | 14 | 31-48 | 31 |
| რეჯინა | 31 | 8 | 6 | 17 | 28-47 | 30 |
| ვერონა | 31 | 7 | 7 | 17 | 31-53 | 28 |
| ბარი | 31 | 5 | 5 | 21 | 29-62 | 20 |

## ნორვეგია
### VIII ტური

| | |
|---|---|
| ბრინი – ტრომსიო | 3-0 |
| ლილესტრიომი – ბრანი | 2-1 |
| ლინი – ვიკინგი | 1-1 |
| ოდ გრენლანდი – მიოლდე | 2-1 |
| სოგონდალი – რუსენბორგი | 1-6 |
| სტაბეკი – ბოდო გლიმტი | 2-1 |
| სტრიომგოდსეტი – მოსი | 2-4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 8 | 7 | 0 | 1 | 27-8 | 21 |
| ვიკინგი | 8 | 6 | 2 | 0 | 18-7 | 20 |
| სტაბეკი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-8 | 16 |
| ლილესტრ. | 8 | 5 | 1 | 2 | 14-11 | 16 |
| მიოლდე | 8 | 4 | 2 | 2 | 18-9 | 14 |
| ოდ გრენლან. | 8 | 4 | 2 | 2 | 14-8 | 14 |
| ბრანი | 8 | 4 | 1 | 3 | 17-14 | 13 |
| მოსი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-11 | 13 |
| ბრინი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-16 | 7 |
| ლინი | 8 | 1 | 3 | 4 | 9-12 | 6 |
| ტრომსო | 8 | 2 | 0 | 6 | 5-14 | 6 |
| სოგნდალი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-20 | 6 |
| ბოდო გლიმ. | 8 | 1 | 1 | 6 | 6-16 | 4 |
| სტრიომგოდ. | 8 | 0 | 3 | 5 | 9-24 | 3 |

## საბერძნეთი
### XXIX ტური

| | |
|---|---|
| აეკი – პაოკი | 3-2 |
| ეთნიკოსი – ირაკლისი | 2-0 |
| პანილიაკოსი – კალამატა | 3-1 |
| ოფი – იანინა | 1-1 |
| არისი – პანიონისი | 3-2 |
| პანათინაიკოსი – პანაჰაიკი | 4-0 |
| ოლიმპიაკ. – ათინაიკოსი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 29 | 25 | 2 | 2 | 82-20 | 77 |
| პანათინაიკ. | 29 | 19 | 6 | 4 | 57-18 | 63 |
| აეკი | 29 | 18 | 4 | 7 | 60-34 | 58 |
| პაოკი | 29 | 13 | 9 | 7 | 61-47 | 48 |
| ირაკლისი | 29 | 13 | 4 | 12 | 42-38 | 43 |
| არისი | 29 | 13 | 4 | 12 | 35-39 | 43 |
| იონიკოსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41-42 | 41 |
| ქსანთი | 28 | 11 | 5 | 12 | 23-33 | 38 |
| პანიონიოსი | 29 | 9 | 9 | 11 | 39-40 | 36 |
| პანაჰაიკი | 29 | 9 | 6 | 14 | 38-51 | 33 |
| ეთნიკოსი | 29 | 8 | 7 | 14 | 31-51 | 31 |
| ოფი | 29 | 7 | 9 | 13 | 37-49 | 30 |
| იანინა | 29 | 7 | 9 | 13 | 37-53 | 30 |
| პანილიაკოსი | 29 | 7 | 8 | 14 | 26-43 | 29 |
| კალამატა | 29 | 4 | 9 | 16 | 37-62 | 21 |
| ათინაიკოსი | 29 | 5 | 5 | 19 | 36-62 | 20 |

## ჩეხეთი
### XXIX ტური

| | |
|---|---|
| სლავია – ბლშანი | 2-3 |
| ბუდეიოვიცე – დრნოვიცე | 0-1 |
| იაბლონეცი – სინოტი | 1-0 |
| ჟიჟკოვი – პლზენი | 3-3 |
| ბრნო – ბოჰემიანსი | 0-0 |
| პრჟიბრამი – ლიბერეცი | 1-1 |
| სიგმა – ბანიკი | 0-0 |
| ტეპლიცე – სპარტა | 2-3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 29 | 21 | 5 | 3 | 71-30 | 68 |
| სიგმა | 29 | 13 | 10 | 6 | 46-33 | 49 |
| სლავია | 29 | 13 | 10 | 6 | 44-31 | 49 |
| პრჟიბრამი | 29 | 13 | 9 | 7 | 40-26 | 48 |
| ჟიჟკოვი | 29 | 12 | 10 | 7 | 45-40 | 46 |
| ლიბერეცი | 29 | 12 | 8 | 9 | 39-31 | 44 |
| დრნოვიცე | 29 | 11 | 8 | 10 | 34-34 | 41 |
| ტეპლიცე | 29 | 12 | 4 | 13 | 44-36 | 40 |
| ბოჰემიანსი | 29 | 9 | 10 | 10 | 34-34 | 37 |
| ბლშანი | 29 | 9 | 10 | 10 | 32-34 | 37 |
| სინოტი | 29 | 8 | 10 | 11 | 35-35 | 34 |
| იაბლონეცი | 29 | 8 | 8 | 13 | 25-38 | 32 |
| ბანიკი | 29 | 7 | 9 | 13 | 28-44 | 30 |
| ბრნო | 29 | 7 | 8 | 14 | 24-35 | 29 |
| ბუდეიოვიცე | 29 | 6 | 8 | 15 | 32-54 | 26 |
| პლზენი | 29 | 3 | 9 | 17 | 28-64 | 18 |

## საფრანგეთი
### პირველი დივიზიონი. XXXIV ტური

| | |
|---|---|
| სედანი – ოსერი | 1-0 |
| მეცი – ბორდო | 2-0 |
| სტ. ეტიენი – გენგამი | 2-2 |
| მონაკო – ლილი | 1-2 |
| რენი – ლიონი | 3-4 |
| ტრუა – მარსელი | 1-1 |
| ლანსი – ნანტი | 1-4 |
| სტრასბური – პსჟ | 1-2 |
| ბასტია – ტულუზი | 5-1 |

*საბოლოო ცხრილი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 34 | 21 | 5 | 8 | 58-36 | 68 |
| ლიონი | 34 | 17 | 13 | 4 | 57-30 | 64 |
| ლილი | 34 | 16 | 11 | 7 | 43-27 | 59 |
| ბორდო | 34 | 15 | 12 | 7 | 48-33 | 57 |
| სედანი | 34 | 14 | 10 | 10 | 47-40 | 52 |
| რენი | 34 | 14 | 6 | 14 | 46-39 | 48 |
| ტრუა | 34 | 11 | 13 | 10 | 45-47 | 46 |
| ბასტია | 34 | 13 | 6 | 15 | 45-41 | 45 |
| პსჟ | 34 | 12 | 8 | 14 | 44-45 | 44 |
| გენგამი | 34 | 11 | 11 | 12 | 40-48 | 44 |
| მონაკო | 34 | 12 | 7 | 15 | 53-50 | 43 |
| მეცი | 34 | 11 | 10 | 13 | 37-44 | 43 |
| ოსერი | 34 | 11 | 8 | 15 | 31-41 | 41 |
| ლანსი | 34 | 9 | 13 | 12 | 37-39 | 40 |
| მარსელი | 34 | 11 | 7 | 16 | 31-40 | 40 |
| ტულუზი | 34 | 11 | 7 | 16 | 31-40 | 40 |
| სტ. ეტიენი | 34 | 9 | 10 | 15 | 43-56 | 37 |
| ტულუზი | 34 | 8 | 10 | 16 | 34-50 | 34 |
| სტრასბური | 34 | 7 | 8 | 19 | 28-61 | 29 |

## პოლონეთი
### XXVII ტური

| | |
|---|---|
| ლეგია – რუხი | 1-0 |
| ვისლა – პლოცკი | 1-2 |
| გროცლინი – სტომილი | 1-0 |
| პოგონი – ამიცა | 2-1 |
| ვიძევი – პოლონია | 0-0 |
| ზაგლებე – შლიონსკი | 1-3 |
| გურნიკი – ოდრა | 1-1 |
| რაძიონკოვი – კატოვიცე | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 27 | 17 | 5 | 5 | 60-24 | 56 |
| ლეგია | 27 | 14 | 8 | 5 | 42-23 | 50 |
| პოგონი | 27 | 12 | 7 | 8 | 33-23 | 43 |
| ზაგლებე | 27 | 12 | 4 | 11 | 39-35 | 40 |
| კატოვიცე | 27 | 9 | 12 | 6 | 26-20 | 39 |
| ამიცა | 26 | 11 | 5 | 10 | 42-38 | 38 |
| რუხი | 27 | 11 | 5 | 11 | 42-41 | 38 |
| გროცლინი | 27 | 9 | 9 | 9 | 30-31 | 36 |
| ვიძევი | 27 | 9 | 7 | 11 | 33-39 | 34 |
| სტომილი | 27 | 9 | 4 | 14 | 21-38 | 31 |
| შლიონსკი | 27 | 8 | 7 | 12 | 29-36 | 31 |
| ოდრა | 27 | 7 | 9 | 11 | 31-44 | 30 |
| რაძიონკოვი | 27 | 9 | 3 | 15 | 23-41 | 30 |
| პლოცკი | 27 | 7 | 4 | 16 | 29-50 | 25 |
| გურნიკი | 26 | 6 | 6 | 14 | 23-34 | 24 |

## ავსტრია
### XXXV ტური

| | |
|---|---|
| ბრეგენცი – ადმირა | 0-0 |
| გრაცერი – აუსტრია | 2-0 |
| რაპიდი – ზალცბურგი | 0-0 |
| რიდი – ლინცერი | 1-0 |
| ტიროლი – შტურმი | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 35 | 19 | 8 | 8 | 61-31 | 65 |
| რაპიდი | 35 | 16 | 11 | 8 | 61-35 | 59 |
| შტურმი | 35 | 16 | 6 | 13 | 57-43 | 54 |
| გრაცერი | 35 | 15 | 9 | 11 | 47-39 | 54 |
| აუსტრია | 35 | 14 | 8 | 13 | 47-41 | 50 |
| ზალცბურგი | 35 | 13 | 10 | 12 | 48-43 | 49 |
| რიდი | 35 | 13 | 8 | 14 | 51-52 | 47 |
| ბრეგენცი | 35 | 8 | 11 | 16 | 29-63 | 35 |
| ლინცერი | 35 | 7 | 9 | 19 | 38-70 | 30 |

„ტიროლი“ მეცხრედ გახდა ავსტრიის ჩემპიონი.

## რუსეთი
### X ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი – ტორპედო | 0-5 |
| როტორი – დინამო | 1-2 |
| როსტსელმაში – ფაკელი | 1-0 |
| ტორპედო ზილი – სატურნი | 1-0 |
| სოკოლი – ალანია | 4-1 |
| სპარტაკი – კრილია სოვეტ. | 1-0 |
| ზენიტი – ანჟი | 1-1 |
| ცსკა – ლოკომოტივი | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოკოლი | 10 | 7 | 2 | 1 | 16-11 | 23 |
| სპარტაკი | 10 | 6 | 3 | 1 | 11-6 | 21 |
| კრ. სოვეტ. | 10 | 6 | 2 | 2 | 11-3 | 20 |
| ტორპედო | 10 | 5 | 3 | 2 | 20-10 | 18 |
| ზენიტი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-11 | 17 |
| ცსკა | 10 | 5 | 1 | 4 | 10-9 | 16 |
| ლოკომოტ. | 10 | 4 | 3 | 3 | 10-8 | 15 |
| ანჟი | 10 | 3 | 4 | 3 | 7-7 | 13 |
| სატურნი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-8 | 11 |
| როტორი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 |
| ტორპედო ზ. | 10 | 3 | 2 | 5 | 8-11 | 11 |
| როსტსელმ. | 10 | 3 | 2 | 5 | 6-9 | 11 |
| დინამო | 10 | 2 | 4 | 4 | 10-11 | 10 |
| ალანია | 10 | 3 | 0 | 7 | 7-16 | 9 |
| ჩერნომორ. | 10 | 2 | 3 | 5 | 6-17 | 9 |
| ფაკელი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-14 | 7 |



ბარი – რომა 1-4

## შვეიცარია
### „ა“ ჯგუფი. XIII ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი – სიონი | 3-0 |
| ლოზანა – ბაზელი | 1-1 |
| ლუგანო – სტ. გალენი | 4-1 |
| სერვეტი – ციურიხი | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერსი | 13 | 7 | 4 | 2 | 25-14 | 43 |
| ლუგანო | 13 | 5 | 5 | 3 | 23-17 | 41 |
| სტ. გალენი | 13 | 6 | 2 | 5 | 23-24 | 40 |
| სერვეტი | 13 | 5 | 4 | 5 | 26-20 | 36 |
| ბაზელი | 13 | 4 | 7 | 2 | 17-15 | 36 |
| სიონი | 13 | 4 | 4 | 6 | 16-22 | 32 |
| ლოზანა | 13 | 3 | 3 | 7 | 11-16 | 30 |
| ციურიხი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-26 | 28 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ალკმაარი – ჰერენვენი | 2-2 |
| გრონინგენი – ვალვაიკი | 1-2 |
| ტვენტე – აიაქსი | 1-3 |
| ფეიენოორდი – უტრეხტი | 2-2 |
| ბრედა – სპარტა | 2-0 |
| პსვ – გრააფსხაპი | 3-2 |
| როდა – ნაიმეგენი | 4-1 |
| ვიტესი – სიტარდი | 3-0 |
| ტილბურგი – როზენდალი | 3-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 33 | 24 | 8 | 1 | 69-21 | 80 |
| ფეიენოორდი | 33 | 20 | 3 | 10 | 66-37 | 63 |
| როდა | 33 | 17 | 8 | 8 | 57-38 | 59 |
| აიაქსი | 33 | 17 | 7 | 9 | 80-42 | 58 |
| ვიტესი | 33 | 16 | 10 | 7 | 54-41 | 58 |
| ვალვაიკი | 33 | 15 | 11 | 7 | 45-34 | 56 |
| უტრეხტი | 33 | 16 | 8 | 9 | 52-43 | 56 |
| ტილბურგი | 33 | 14 | 9 | 10 | 59-46 | 51 |
| ბრედა | 33 | 13 | 9 | 11 | 40-39 | 48 |
| ჰერენვენი | 33 | 11 | 13 | 9 | 50-41 | 46 |
| ნაიმეგენი | 33 | 9 | 13 | 11 | 40-49 | 40 |
| ტვენტე | 33 | 10 | 10 | 13 | 46-59 | 40 |
| ალკმაარი | 33 | 9 | 8 | 16 | 44-58 | 35 |
| გრონინგენი | 33 | 8 | 9 | 16 | 36-50 | 33 |
| გრააფსხაპი | 33 | 9 | 3 | 21 | 43-65 | 30 |
| სიტარდი | 33 | 7 | 7 | 19 | 27-63 | 28 |
| სპარტა | 33 | 6 | 6 | 21 | 40-70 | 24 |
| როზენდალი | 33 | 4 | 2 | 27 | 37-89 | 14 |

## ბელგია
### I დივიზიონი. XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ლუვიე – მუსკრონი | 1-3 |
| ჰარელბეკე – ბევერენი | 3-2 |
| ვესტერლო – შარლერუა | 0-1 |
| სტ. ტრუიდენი – ანტვერპენი | 1-1 |
| აალსტი – ანდერლეხტი | 1-5 |
| მეხელენი – ლიერსი | 1-1 |
| ბრიუგე – გენკი | 6-0 |
| ბეერსხოტი – გენტი | 1-3 |
| სტანდარდი – ლოკერენი | 1-3 |

*საბოლოო ცხრილი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 34 | 25 | 8 | 1 | 88-25 | 83 |
| ბრიუგე | 34 | 23 | 9 | 2 | 83-24 | 78 |
| სტანდარდი | 34 | 16 | 12 | 6 | 72-42 | 60 |
| ლოკერენი | 34 | 16 | 9 | 9 | 56-42 | 57 |
| გენტი | 34 | 16 | 9 | 9 | 61-49 | 57 |
| ბეერსხოტი | 34 | 17 | 3 | 14 | 62-53 | 54 |
| მუსკრონი | 34 | 15 | 8 | 11 | 63-49 | 53 |
| ვესტერლო | 35 | 15 | 8 | 11 | 61-53 | 53 |
| შარლერუა | 34 | 14 | 5 | 15 | 51-65 | 47 |
| ლიერსი | 34 | 12 | 7 | 15 | 44-51 | 43 |
| გენკი | 34 | 11 | 9 | 14 | 45-51 | 42 |
| ანტვერპენი | 34 | 11 | 7 | 16 | 38-45 | 40 |
| სტ. ტრუიდ. | 34 | 9 | 8 | 17 | 44-54 | 35 |
| ბევერენი | 34 | 9 | 8 | 17 | 30-64 | 35 |
| ლუვიე | 34 | 6 | 12 | 16 | 32-56 | 30 |
| აალსტი | 34 | 7 | 8 | 19 | 33-65 | 29 |
| ჰარელბეკე | 34 | 8 | 4 | 22 | 36-79 | 28 |
| მეხელენი | 34 | 4 | 10 | 20 | 39-72 | 22 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ჰამბურგი – ბაიერნი | 1-1 |
| ვერდერი – ჰანზა | 3-0 |
| დორტმუნდი – კიოლნი | 3-3 |
| შალკე – უნტერჰახინგი | 5-3 |
| აინტრახტი – შტუტგარტი | 2-1 |
| ფრაიბურგი – ვოლფსბურგი | 4-1 |
| ლევერკუზენი – ბოხუმი | 1-0 |
| კაიზერი – ჰერტა | 0-1 |
| მიუნხენი – კოტბუსი | 0-1 |

*საბოლოო ცხრილი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 34 | 19 | 6 | 9 | 62-37 | 63 |
| შალკე | 34 | 18 | 8 | 8 | 65-35 | 62 |
| დორტმუნდი | 34 | 16 | 10 | 8 | 62-42 | 58 |
| ლევერკუზ. | 34 | 17 | 6 | 11 | 54-40 | 57 |
| ჰერტა | 34 | 18 | 2 | 14 | 58-52 | 56 |
| ფრაიბურგი | 34 | 15 | 10 | 9 | 54-37 | 55 |
| ვერდერი | 34 | 15 | 8 | 11 | 53-48 | 53 |
| კაიზერი | 34 | 15 | 5 | 14 | 49-54 | 50 |
| ვოლფსბურგი | 34 | 12 | 11 | 11 | 60-45 | 47 |
| კიოლნი | 34 | 12 | 10 | 12 | 59-52 | 46 |
| მიუნხენი | 34 | 12 | 8 | 14 | 43-55 | 44 |
| ჰანზა | 34 | 12 | 7 | 15 | 34-47 | 43 |
| ჰამბურგი | 34 | 10 | 11 | 13 | 58-58 | 41 |
| კოტბუსი | 34 | 12 | 3 | 19 | 38-52 | 39 |
| შტუტგარტი | 34 | 9 | 11 | 14 | 42-49 | 38 |
| უნტერჰახინ. | 34 | 8 | 11 | 15 | 35-59 | 35 |
| აინტრახტი | 34 | 10 | 5 | 19 | 41-68 | 35 |
| ბოხუმი | 34 | 7 | 6 | 21 | 30-67 | 27 |

## თურქეთი
### XXXIII ტური

| | |
|---|---|
| იოზგათი – გენჩლერბირლ. | 1-1 |
| ანთალია – ისთანბული | 2-2 |
| ბეშიქთაში – იეთფა | 5-1 |
| რიზე – ქაჯოელი | 2-1 |
| ადანა – სამსუნი | 3-5 |
| ანკარა – ერზრუმი | 5-2 |
| ფენერბახჩე – ბურსა | 2-0 |
| ტრაბზონი – დენიზლი | 1-0 |
| გაზიანთეფი – გალათასარაი | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 33 | 23 | 4 | 6 | 70-38 | 73 |
| გალათასარაი | 33 | 22 | 4 | 7 | 73-35 | 70 |
| გაზიანთეფი | 33 | 19 | 8 | 6 | 65-40 | 65 |
| ბეშიქთაში | 33 | 19 | 6 | 8 | 66-46 | 63 |
| ტრაბზონი | 33 | 17 | 7 | 9 | 69-48 | 58 |
| ანკარა | 33 | 15 | 8 | 10 | 62-57 | 53 |
| სამსუნი | 33 | 13 | 9 | 11 | 54-49 | 48 |
| იოზგათი | 33 | 12 | 10 | 11 | 52-45 | 46 |
| რიზე | 33 | 13 | 7 | 13 | 45-42 | 46 |
| დენიზლი | 33 | 12 | 7 | 13 | 51-54 | 44 |
| გენჩლერბირ. | 33 | 13 | 4 | 16 | 42-52 | 43 |
| ისთანბული | 33 | 11 | 8 | 14 | 46-58 | 41 |
| ბურსა | 33 | 11 | 7 | 15 | 53-57 | 40 |
| ქაჯოელი | 33 | 9 | 11 | 13 | 52-57 | 38 |
| ანთალია | 33 | 9 | 9 | 15 | 44-62 | 36 |
| იეთფა | 33 | 6 | 6 | 21 | 46-78 | 24 |
| ერზრუმი | 33 | 5 | 6 | 22 | 36-78 | 21 |
| ადანა | 33 | 2 | 10 | 21 | 48-87 | 16 |

## დანია
### XXX ტური

| | |
|---|---|
| ორჰუსი – კოპენჰაგენი | 0-3 |
| ჰერფიოლგე – ოლბორგი | 1-2 |
| მიდტიულანდი – ოდენსე | 1-1 |
| ვიბორგი – ჰადერსლევი | 3-1 |
| სილკებორგი – აკადემისკი | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 30 | 15 | 11 | 4 | 50-25 | 56 |
| სილკებორგი | 30 | 14 | 11 | 5 | 44-31 | 53 |
| ბრონდბიუ | 29 | 15 | 7 | 7 | 66-36 | 52 |
| მიდტიულან. | 30 | 13 | 10 | 7 | 46-40 | 49 |
| ვიბორგი | 30 | 13 | 7 | 10 | 49-34 | 46 |
| ოდენსე | 30 | 12 | 7 | 11 | 46-39 | 43 |
| ოლბორგი | 30 | 11 | 10 | 9 | 47-44 | 43 |
| ლიუნგბიუ | 29 | 11 | 7 | 11 | 36-46 | 40 |
| ორჰუსი | 30 | 11 | 4 | 15 | 44-56 | 37 |
| აკადემისკი | 30 | 6 | 14 | 10 | 37-40 | 32 |
| ჰერფიოლგე | 30 | 5 | 9 | 16 | 37-60 | 24 |
| ჰადერსლევი | 30 | 1 | 7 | 22 | 27-78 | 10 |

## შოტლანდია
### XXXVIII ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი – დანდი იუნ. | 1-2 |
| დანფერმლ. – სტ. ჯონსტონი | 0-0 |
| მოზერუელი – სტ. მირენი | 3-3 |
| ჰარტსი – დანდი | 2-0 |
| კილმარნოკი – სელტიკი | 1-0 |
| რეინჯერსი – ჰიბერნიანი | 4-0 |

*საბოლოო ცხრილი*

I-VI ადგილებისათვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 38 | 31 | 4 | 3 | 90-29 | 97 |
| რეინჯერსი | 38 | 26 | 4 | 8 | 76-36 | 82 |
| ჰიბერნიანი | 38 | 18 | 12 | 8 | 57-35 | 66 |
| კილმარნოკი | 38 | 15 | 9 | 14 | 44-53 | 54 |
| ჰარტსი | 38 | 14 | 10 | 14 | 56-50 | 52 |
| დანდი | 38 | 13 | 8 | 17 | 51-49 | 47 |

VII-XII ადგილისათვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აბერდინი | 38 | 11 | 12 | 15 | 45-52 | 45 |
| მოზერუელი | 38 | 12 | 7 | 19 | 42-56 | 43 |
| დანფერმლ. | 38 | 11 | 9 | 18 | 34-54 | 42 |
| სტ. ჯონსტ. | 38 | 9 | 13 | 16 | 40-56 | 40 |
| დანდი იუნ. | 38 | 9 | 8 | 21 | 38-63 | 35 |
| სტ. მირენი | 38 | 8 | 6 | 24 | 32-72 | 30 |

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ბიშოვეცი: „არა, „ანჟიში“ არ ვიმუშავებ

**ანატოლი ბიშოვეცი ახლა „ანჟისთან“ ერთად მოგზაურობს და თავის ძველ მეგობარს, დაღესტნელთა მთავარ მწვრთნელ ჰაჯი ჰაჯიევს ეხმარება. ჰაჯიევს გული სტკივა, და, როგორც ფიქრობენ, მალე გადადგება. მას ბიშოვეცი შეცვლის?**

**— არა, უახლოეს ხანებში ჩემი მუშაობა რომელიმე რუსულ კლუბში, უბრალოდ, გამორიცხულია. მე წინასწარი კონტრაქტი მაქვს ერთ-ერთ ევროპულ კლუბთან — თქვა ბიშოვეცმა — რომელთან? ამას ივნისის დასაწყისში ვიტყვი.**

### აზიური ლაურეატები

აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ სინგაპურში მოაწყო დიდი საზეიმო საღამო, სადაც დააჯილდოვეს წლის საუკეთესო ფეხბურთელები და მწვრთნელები.

აზიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს საუდის არაბეთის ნაკრების ნახევარმცველი ალთემიათი, კონტინენტის საუკეთესო მწვრთნელად კი იაპონიის ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელი — ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ფილიპ ტრუსიე.

### ლატვიელები მარცხიანად თამაშობენ

**ინგლისურ კლუბებში რამდენიმე ლატვიელი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებმაც თავიანთი კარიერა ამ ქვეყანაში რიხიანად დაიწყეს, მაგრამ კარგად ვერ გააგრძელეს.**

**მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი თავდამსხმელი ანდრეი შტოლცერსი დასაწყისში კარგად თამაშობდა „ფულჰემში“, ისევე, როგორც ანდრეი რუბინი „კრისტალ პალასში“. შემდეგ ერთმაც დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და მეორემაც. ლატვიის ნაკრების მეკარე ალექსანდრ კოლინკო სისტემატურად კი თამაშობდა „კრისტალ პალასში“, მაგრამ საკმაოდ უხეიროდ.**

### სურს „ინტერს“ დაეხმაროს

ლოთარ მათეუსი თანახმაა მილანის „ინტერის“ მოთამაშე მწვრთნელი გახდეს. იგი ხომ 80-90-იანი წლების გადასაყარზე ამ კლუბში თამაშობდა.

— მე არ შემიძლია გულცივად ვუყურო „ინტერის“ მარცხს. ასეთი მოთამაშეები კი ჰყავს, და ასე წარუმატებლად თამაშობს. ეტყობა, ეს მწვრთნელის ბრალია. ჩემი აზრით, მას აკლია მოთამაშე მწვრთნელი, რომელიც მას უშუალოდ მატჩის მსვლელობის დროს, მინდორზე უხელმძღვანელებს. მე შევასრულებდი ამ მოვალეობას.

ჯერჯერობით „ინტერს“ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი მარკო ტარდელი ხელმძღვანელობს, რომლის ბედი გადაწყვეტილად მიაჩნიათ.

### 8 მხილებული? ძალიან ბევრია!

**2000-2001 წლების სეზონში იტალიაში 8 ფეხბურთელი ამხილეს დოპინგის გამოყენებაში. ეს ძალიან ბევრია.**

**აი ეს ფეხბურთელებიც: კრისტიან ბუკი („პერუჯა“), სალვატორე მონაკო („პერუჯა“), ანდრეა დე როლდი („პესკარა“, სერია B), ნიკოლა კაჩა („პიაჩენცა“, სერია B), სტეფანო საკეტი („პიაჩენცა, სერია B), ჟან-ფრანსუა ჟილე („ბარი“), ფერნანდუ კოუტუ („ლაციო“) და ედგარ დავიდსი („იუვენტუსი“).**

### ყაზახეთი - უეფას 52-ე წევრი

ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის ცდამ უკვე ნაყოფი გამოიღო. როგორც იცით, მან უეფას თხოვა გამოეყვანა აზიის ფეხბურთის კონფედერაციიდან და უეფას წევრი გაეხადა. უეფამ განიხილა ეს თხოვნა და ჩათვალა, რომ იგი დასაბუთებულია. ამრიგად, ამიერიდან ყაზახეთი უეფას 52-ე წევრი გახდა და მის შეჯიბრებებში მიიღებს მონაწილეობას.

## ხარინი გამოჩნდა

ცნობილი მეკარე დმიტრი ხარინი, რომელიც ადრე მოსკოვის „ტორპედოს, ცსკასა და ლონდონის „ჩელსიში“ თამაშობდა, 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, 14-თვიანი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა მინდორზე. მან ითამაშა შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩში გლაზგოს „სელტიკის“ შემადგენლობაში.

# ოტმარ ჰიტცფელდის მახვილი და ჩაქუჩი

**როცა „ბაიერნი“ რომელიმე შეხვედრისათვის ემზადება, მეტოქეებმა არაერთი პრობლემა უნდა გადაწყვიტონ. ეს არის კლუბი, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესის რეპუტაცია აქვს, ეს კი მნიშვნელოვანწილად თავდასხმამაც შეუქმნა. სწორედ აქ გამოიჩინეს თავი „ბაიერნის“ „მახვილმა“ ჯოვანი ელბერმა და „ჩაქუჩმა“ კარსტენ იანკერმა.**

### ჯოვანი ელბერი

დაიბადა ბრაზილიის ქ. ლონდრინაში, 1972 წლის 23 ივლისს. თავის სამშობლოში ხეირიანად ვერცკი მოასწრო თავის გამოჩენა, მაგრამ ევროპელ სპეციალისტებს არაფერი გამორჩენიათ. და ჭაბუკი უკვე 1991 წელს „მილანში“ აღმოჩნდა. თუმცა ისიც ვთქვათ, რა უნდა გაეკეთებინა მას იტალიის ამ უძლიერეს კლუბში?! იქ თამაშობდნენ რუუდ გულიტი, მარკო ვან ბასტენი, ფრანკ რიიკაარდი, იტალიელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რომელი მათგანის კონკურენტი უნდა ყოფილიყო ჯერაც სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა? ამიტომ იგი გადავიდა შვეიცარიაში, ციურიხის ცნობილ „გრასჰოპერსში“, დიდი ტრადიციების, იმ მომენტისათვის საკმაოდ ძლიერ კლუბში. ეს მართლაც რომ სწორი არჩევანი აღმოჩნდა: ელბერი სწრაფად დაოსტატდა, შეეჩვია ევროპულ ფეხბურთს და გამოავლინა თავისი მთავარი თვისება: გოლების გატანის უნარი. ასე გაგრძელდა 1994 წლამდე, როცა ბრაზილიელი გერმანიაში გადაბარგდა და „შტუტგარტში“ დაიწყო თამაში.



ელბერი

იმ წლებში „შტუტგარტი“ (ახლა რომ ძალიან უჭირს) მართლაც რომ ბრწყინვალედ თამაშობდა. აქ კი გადამწყვეტ როლს „ტრიო“ ასრულებდა: ენერგიულ, შედეგიან, სლოვენიური წარმოშობის თავდამსხმელ ფრედი ბობიჩს და ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველ კრასიმირ ბალაკოვს ახლა ელბერიც დაემტა. ეს სამეული ბუნდესლიგის კლუბებს ნამდვილ რისხვად მოევლინა. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ბობიჩი და ელბერი სხვებმა არ გადაიბირეს. ბალაკოვი დღემდე „შტუტგარტშია“, მაგრამ ერთი კაცი რას გააწყობს.

1997 წლის 1 ივლისიდან ელბერი მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობს. იგი 182 სმ. სიმაღლისაა და 79 კგ იწონის. უკვე ამდენი წელია გერმანიაშია, მაგრამ ძლიერი ნოსტალგია აქვს. გერმანული გაზეთების ცნობით, თითქმის ყოველ საათს რეკავს ტელეფონით ბრაზილიაში, მისი სატელეფონო ანგარიში კი ყოველთვიურად დიდ თანხას, არანაკლებ 2500 მარკას შეადგენს. ეს „ბაიერნის“ ფეხბურთელებს მეტად ამხიარულებს, მაგრამ თვით ელბერი თვლის, რომ საქმე სახუმაროდ სულაც არ არის. „როცა ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობს, მე კი აქ, ისე ვნერვიულობ, რომ ზოგჯერ ღამით არც კი მეძინება. ბრაზილია ძალზე სახიფათო ქვეყანაა“. ელბერი ოცნებობს იმ დროზე, როცა სამშობლოში დაბრუნდება. მან დაარსა ქ. ლონდრინის (სადაც დაიბადა) ღატაკ მცხოვრებთა ფონდი და მოზრდილ თანხებს ურიცხავს მას.

მიუნხენში ყოფნის პირველივე სეზონში ელბერის კლუბი გერმანიის თასს დაეუფლა, მეორე წელს „ბაიერნი“ ჩემპიონი გახდა, მესამე წელს შეინარჩუნა ეს წოდება, 2000-2001 წლებში კიდევ ერთხელ შეინარჩუნა! ამაში ხომ თვით ბრაზილიელსაც გარკვეული დამსახურება მიუძღვის. ელბერი ძალიან მალე შეეგუა „ბაიერნს“ და თვლის, რომ ძალიან კარგად მოიქცა, რომ სწორედ ეს კლუბი აირჩია. „ესპანეთშიც შემეძლო მეთამაშა. ბუნებრივი პირობებისა და ენის (ესპანური ხომ პორტუგალიურის მსგავსი ენაა) თვალსაზრისით იქ უკეთეს პირობებში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ რა უნდა გამეკეთებინა „ვალენსიასა“ და „სარაგოსაში“, სადაც მიწვევდნენ. მეხუთე-მეექვსე ადგილებისათვის მებრძოლა? სულაც არ ვნანობ, რომ „ბაიერნის“ ფეხბურთელი გავხდი. თავიდან რომ მქონდეს ასარჩევი, იგივეს გავაკეთებდი.

ერთი სიტყვით, ელბერი ევროპული ფეხბურთის ავანსცენაზე აღმოჩნდა, რადგან „ბაიერნი“ თავისი ქვეყნის პირველობაზე იმარჯვებს და ამდენად ჩემპიონთა ლიგის რეგულარული მონაწილეა. ჯოვანის ოცნებაა ბრაზილიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა. აი აქ კი დღემდე არ უმართლებს. 1998 წელს მარიო ზაგალო თვლიდა, რომ ელბერი საამისოდ მზად არ იყო. შემდეგ ზაგალო, როგორც ცნობილია, ვანდერლეი ლუქსემბურგომ შეცვალა, რომელსაც უსაყვედურებდნენ, რომ სათანადო ყურადღებას არ აქცევს ევროპაში მოთამაშე ისეთ თავდამსხმელებს, როგორც არიან სონი ანდერსონი („ლიონი“), მარიო ჟარდელი („გალათასარაი“) და იგივე ელბერი. მართალია, ელბერს ეპიზოდურად მაინც იწვევდნენ ნაკრებში, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, ცალკეული შემთხვევები თუ იყო. საქმე არც ლეაოს დროს შეიცვალა. ახლა მასაც, როგორც ამბობენ, საცაა დაატოვებინებენ თანამდებობას.

აი, ბუნდესლიგაში კი ელბერი ნამდვილად ბრწყინავს. იგი გერმანიის ჩემპიონატის სნაიპერებს შორის ყოველთვის ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს. ძალიან ძლიერად წარმართა ახლანდელი ჩემპიონატის მეორე ნახევარი და თავი გამოიჩინა ჩემპიონთა ლიგაშიც.

მაინც რა ღირსებები აქვს თანამედროვეობის ამ სუპერსნაიპერს? ეს არის გოლის საოცარი გრძნობა, შეუძლია ბურთის გატანა ისეთ სიტუაციაში, სადაც თითქოს კარისათვის რაიმე საფრთხე არ არსებობს. ეს ის კაცია, რომელიც თითქოს მთელი მატჩის დროს ჩრდილშია, შემდეგ კი სამ გოლს გაიტანს.

აქვს დიდებული რეაქცია და სასტარტო სისწრაფე, რომელიც მას საშუალებას აძლევს მცველებიც ჩამოიცილოს და მეკარესაც გვერდი აუაროს. ამის შემდეგ გოლის გატანა ძნელი აღარ არის.

შესანიშნავად თამაშობს თავით. არც ისე მაღალია, მაგრამ გოლების უმეტესობა სწორედ თავით გააქვს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მის უნარზე დაასწროს მეტოქეს.

ზუსტი პასის დიდი უნარი აქვს. როცა ფეხბურთელებს აფასებენ სისტემით „გოლი-პასი“, აქ ბრაზილიელი ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ელბერის ბურთის ფლობის ტექნიკას „ჭეშმარიტად ბრაზილიულს“ უწოდებენ. გერმანელი მიმომხილველების აზრით, იგი „ბაიერნის“ შემადგენლობაში ყველაზე უფრო ტექნიკური ფეხბურთელია. ბრაზილიის ნაკრებშიც კი, სადაც ტექნიკური თვალსაზრისით, ნამდვილი ვირტუოზებია თავმოყრილი, ელბერი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

### კარსტენ იანკერი

ეს ის კაცია, ვინც ყოველ მატჩზე ისეთი განწყობილებით გამოდის, თითქოს მისი ბედი სწორედ ახლა უნდა გადაწყდეს, სწორედ ესაა უმთავრესი შეხვედრა მთელი მისი კარიერის მანძილზე. მას სულაც არ სჭირდება მწვრთნელის შეგონება: „აბა შენ იცი!“. დიახ, სწორედ რომ იცის, რაც უნდა აკეთოს.

კარსტენ იანკერი (დაიბ. 1974 წლის 28 აგვისტოს, 193 სმ, 89 კგ). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწვრთნელების აღზრდილია. თავი დავანებოთ იმას, როგორი პოლიტიკური წყობილება იყო ამ რესპუბლიკაში, მაგრამ სპორტსმენების მომზადება, გამოწვრთნა რომ იცოდნენ, ამას ვერ უარყოფს. ყმაწვილი იანკერი თამაშობდა „ვისმარში“, შემდეგ ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ჰანზაში“ (როსტოკი). ამასობაში, რომ იტყვიან, დრომ თქვენი ჭირი წაიღო — გერმანია გაერთიანდა.

1991 წელს იანკერი სახელგანთქმულ „კიოლნში“ ჩაირიცხა. ახალგაზრდას ძალიან გაუჭირდა ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა (5 მატჩი, 1 გოლი) და ეს, ცხადია, სრულიად გასაგებიც იყო. ამიტომ ამჯობინა ვენის „რაპიდში“ გადაბარგებულიყო. ავსტრიაში ცხოვრება ყოველმხრივ წარმატებული გამოდგა. იანკერს გოლი გოლზე გაჰქონდა, იგი დიდად დაეხმარა გუნდს გასულიყო თასების მფლობელთა თასის ფინალში, ამ შეჯიბრებაში 6 გოლი გაიტანა, მოსკოვის „დინამოს“ კი შავი დღე აყარა. ცოლიც მოიყვანა. გერმანულ ტელეარხებზე შეიძლება ასეთი რამის ნახვაც: როგორც კი იანკერს გოლი გააქვს, მაშინვე ჰკოცნის... საქორწილო ბეჭედს და ცოლს, თუკი იგი, რა თქმა უნდა, ტრიბუნაზეა ღიმილით ესალმება.

„რაპიდში“ ასეთ სნაიპერს ვინ გააჩერებდა და უკვე 1996 წელს იანკერი სამშობლოში დააბრუნეს, ამჯერად, არც მეტი, არც ნაკლები, „ბაიერნის“ შემადგენლობაში, რომელთანაც 1 ივლისს მოლაწერა კონტრაქტს ხელი.



იანკერი

„ბაიერნის“ შემადგენლობაში იანკერი უკვე მეოთხედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

— „ბაიერნი“ „ჩემი“ კლუბია. სხვაგან ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივაღწევდი ამდენ წარმატებას — ამბობს იანკერი. სწორედ ამის გამოა, რომ „ჩაქუჩს“ არავითარ შემთხვევაში არა სურს ამ კლუბის დატოვება. დიახ, იგი ნამდვილი გერმანული სტილის ფეხბურთელია: ფიზიკურად მეტად მძლავრი, ბრძოლის წყურვილით, მეტოქესთან ორთაბრძოლის სურვილით. მაგრამ ყველა ასეთი თვისება რომ ნამდვილი ინგლისური სტილის ფეხბურთელებსაც უნდა ჰქონდეთ. ული ჰიონესი, „ბაიერნის“ მენეჯერი, რომელსაც კლუბში ტრანსფერების საკითხები ეხება (თითქოს ეს მთავარი მწვრთნელის პრეროგატივა უნდა იყოს), ამბობს — დღე არ გავა, რომელიმე ინგლისურმა კლუბმა რომ არ დაურეკოს და იანკერის შესახებ საუბარი რომ არ გაუბას.

ჰიონესი ცხადია, ამ მთხოვნელებს უარით ისტუმრებს: „დაგვაცალეთ, დავაცალეთ...“

რა არის გასაკვირი, რომ ნაკრების მწვრთნელებმა იანკერს კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს. ბერტი ფოგტსმა დაიწყო მის მატჩებზე დასწრება და ყველაფერს უბის წიგნაკში ინიშნავდა. და აი უცნაური რამ: როგორც კი გაიგებდა იანკერი, რომ თამაშს ფოგტსი ესწრებოდა, იგი უაღრესად უფერულად იწყებდა თამაშს, აშკარად ნერვიულობდა. „ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს დასაძინებელი ტაბლეტები გადამაყლაპესო“. ურთიერთობა ბერტი ფოგტსა და ფეხბურთელს შორის მაშინ გაფუჭდა. იანკერმა პრესაში ფოგტსის დამამცირებელი სიტყვებიც კი იკადრა და შემდეგ ბოდიშის მოხდაც მოუხდა.

როცა ფოგტსი ნაკრებში ერიხ რიბეკმა შეცვალა, მან იანკერი კი მიიწვია, მაგრამ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში გერმანელებს რა უშველიდა!

ახლა კი ზოგი რამ, ასე ვთქვათ, კარსტენ იანკერის პირადი ღირსებების შესახებ.

მას შეუძლია ორთაბრძოლების მოგება იმის მიუხედავად, თუ მის უშუალო მეტოქეს რამდენი კაცი ეშველება. იანკერს შეუძლია თავისი მასით მეტოქის მცველების დათრგუნვა.

შესანიშნავად თამაშობს თავით. იგებს ორთაბრძოლებს „მეორე სართულზე“, სხვა საკითხია, რომ გოლი თვით იშვიათად გააქვს.

ძალიან ძლიერად ურტყამს ორივე ფეხით, პირდაპირ შიშის ზარს სცემს მეტოქეებს. თავისი წონის მიუხედავად, ძალიან მოძრავია, ყველა მდგომარეობიდან ზუსტად ურტყამს.

ლიდერის თანდაყოლილი თვისებები აქვს. არასდროს დრკება, შეუძლია მძიმე მომენტში გუნდის წაძღოლა და გამხნევება.

ჩინებულად შეუძლია მოწინააღმდეგისათვის ბურთისართმევა. საჭიროების შემთხვევაში უკან იხევს და დაცვით ოპერაციებში მონაწილეობს, ამისთვის მას ყველაფერი აქვს: ასეთი ფიზიკური კონდიცია რომელ ფეხბურთელს არ შეშურდება.

ახლა კი გავიმეოროთ, რითაც დავიწყეთ: ყოველ მატჩს ისეთი განწყობითა და შეუპოვრობით ატარებს, თითქოს ეს მისთვის უკანასკნელი და გადამწყვეტი იყოს. გნებავთ, ამას სათასო განწყობილებაც უწოდეთ...

**ბიჭი თორელი**

## „ნაკრებს ხელმძღვანელობენ პენსიონერი, ბიზნესმენი და ფეხბურთელი“

იუგოსლავიელი მიმომხილველების აზრით, ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებმა საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს, როცა ნაკრებს სათავეში ჩაუყენეს „სპეციალისტთა სამეული“. ესენი არიან ვუიადინ ბოშკოვი, ივან ჩურკოვიჩი და დეიან სავიჩევიჩი. როგორც კი ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, ბელგრადის „სპორტსკი ჟურნალში“ გამოქვეყნდა წერილი: „ნაკრებს ხელმძღვანელობენ პენსიონერი, ბიზნესმენი და ფეხბურთელი“. რას აკეთებდნენ ისინი უკანასკნელ ხანებში? განთქმული მწვრთნელი ბოშკოვი, რომელმაც ნაკრები დატოვა ევრო-2000-ში განცდილი მარცხის შემდეგ, ცხოვრობდა გენუაში და იშვიათად ჩამოდიოდა მშობლიურ ნოვი-სადში. „სენტ-ეტიენის“ ყოფილი მეკარე და მიშელ პლატინის პარტნიორი ჩურკოვიჩი ბელგრადის „პარტიზანის“ პრეზიდენტია, ხოლო სავიჩევიჩი ამთავრებს თავის კარიერას ვენის „რაპიდში“. ეს სამეული ნაკრებს ივნისის ბოლო რიცხვებამდე უხელმძღვანელებს, როცა უნდა დაიწყოს იუგოსლავიის ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელობის არჩევნები. მმართველობის პერიოდი ძალზე მოკლეა, მაგრამ იუგოსლავიის ნაკრებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ივნისის დასაწყისში მას მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის ორი გასვლითი მატჩი აქვს – მოსკოვში და ფარერის კუნძულებზე. აქ იუგოსლავიელებს აუცილებლად სჭირდებათ ორი გამარჯვება – სხვა გამოსავალი, თუკი მეორე ადგილის დაკავება სურთ, არ არსებობს.

საინტერესოა ერთი თავისებურებაც: უშუალოდ მატჩის დროს მწვრთნელის სკამზე მხოლოდ ერთი მათგანი მოთავსდება. ამ მოკლე ხანში უნდა გადაწყდეს, ვინ იქნება ეს პიროვნება, რომელმაც ამავე დროს, ვარჯიშებსაც უნდა უხელმძღვანელოს. გარდა ამისა, სამეულმა ნაკრების შემადგენლობა შეარჩიოს, იზრუნოს სათანადო მეგობრული ატმოსფეროს შექმნაზე (აქ მთავარი როლი სავიჩევიჩმა უნდა შეასრულოს, რომელიც ახლოს არის ნაკრების მოთამაშეების უმრავლესობასთან), საერთოდ, მოაწყოს ნაკრების ცხოვრების პირობები.

თამაშის დროს, ის მწვრთნელები, რომლებიც ტრიბუნებზე იქნებიან, მობილური ტელეფონით დაუკავშირდებიან იმ კოლეგას, რომელიც სათადარიგო მოთამაშეების სკამზე იქნება და მას მითითებებს მისცემენ, აგრეთვე მოეთათბირებიან, რომელი ფეხბურთელი უნდა შეცვალონ.

ყოველივე ამის შემდეგ მიმომხილველები მაინც ფიქრობენ, რომ „ტრიუმვირატში“ წამყვან როლს შეასრულებს და რეალური მწვრთნელი მაინც მრავალნაცადი ვუიადინ ბოშკოვი იქნება.

# სარაევო, 31-ე ტრადიციული

სარაევოში მიმდინარეობს 31-ე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 10 დიდოსტატის მონაწილეობით. აქ თამაშობენ ალექსეი დრეევი (რუსეთი), ვესელინ ტოპალოვი, კირილ გეორგიევი (ორივე — ბულგარეთი), ილია სმირინი (ისრაელი) ივან სოკოლოვი, ბოიან კურაიცა, ემირ დიზდარევიჩი (სამივე — ბოსნია და ჰერცოგოვინა), ზდენკო კოჟული (ხორვატია), სუატ ატალიკი (თურქი, რომელიც ახლა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის სახელით გამოდის) და ყოფილი თბილისელი სერგო მოვსესიანი (ჩეხეთი).

4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით პირველ სამ ადგილს იყოფენ ტოპალოვი, გეორგიევი და სმირინი.

# ერთი ცვლილება ასტანაში

ასტანის (ყაზახეთი) სუპერტურნირის შემადგენლობაში ერთი ცვლილება მოხდა: ვესელინ ტოპალოვის (ბულგარეთი) ნაცვლად, რომელმაც სარაევოში თამაში ამჯობინა, ასპარეზობაში ჩაება მოსკოველი ალექსანდრ მოროზევიჩი. 6 დიდოსტატი ორ წრედ ეჯიბრება ერთმანეთს.

პირველ ტურში გარი კასპაროვმა (რუსეთი) მოუგო ალექსეი შიროვს (ესპანეთი), მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა (რუსეთი) ადგილობრივ დიდოსტატ დარმენ სადვაკასოვს (ყაზახეთი), ხოლო ალექსანდრ მოროზევიჩმა (რუსეთი) — ბორის გელფანდს (ისრაელი).

სუპერტურნირი ეძღვნება ყაზახეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადების ათი წლისთავს.

# ახალი თაობა უტევს

1 ივნისს მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში იწყება ევროპის მეორე პირადი პირველობა ვაჟებს შორის, რომელსაც წინ ბევრი შესარჩევი შეჯიბრება უძღოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო რუსეთის 54-ე ჩემპიონატი, რომელიც ქალაქ ელისტაში დამთავრდა. მასში 60 დიდოსტატი და ოსტატი თამაშობდა, შვეიცარული სისტემით 9 ტურად. საპრიზო ფონდი 30 ათასი დოლარი იყო, საგზური კი — 17.

რუსული ჭადრაკის ლიდერებმა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატში პერსონალურად არიან მიწვეული, ელისტაში თამაშისგან თავი შეიკავეს, ბრძოლაში კი ძირითადად ახალგაზრდობა მონაწილეობდა. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს 21 წლის ალექსანდრ მოტილიოვმა (ეკატერინბურგი), და ალექსანდრ ლასტინმა (მოსკოვი) დამატებითი მონაცემებით, ე.წ. „ბუხჰოლცის ცხრილით". უკეთესი მონაცემები აღმოაჩნდა მოტილიოვს, რომელსაც რუსეთის ჩემპიონობა მიენიჭა. მესამე ადგილზე ექვსი ქულით გამოვიდა ყაზანელი ანდრეი ხარლოვი, ერთ-ერთ საგზურს კი 21 წლის მოსკოველი მიხეილ ქობალია დაეუფლა. საინტერესოა, რომ რუსეთის შარშანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი სერგეი ვოლკოვი 17 გამარჯვებულს შორის ვერ მოხვდა.

# «ფორმულა-1» მრბოლები — მრბოლებად, მანქანები?! „მაკლარენი"



ამ მარკის მანქანები, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა „ვესტ მაკლარენ მერსედესი" მსოფლიო პირველობის ტრასებზე „კვალში მიჰყვება" ფერარის. ამ უკანასკნელის ღირსებებსა და მიღწევებზე" — „ლელოს" წინა ნომერში გაეცნობოდით.

მაშ, ასე. მაკლარენი შასი: მაკლარენ MP4-16; ძრავა: მერსედეს FO 110 ა; საბურავი: ბრიჯსტოუნი. დებიუტი „ფორმულა-1"-ში: 1966 წლის 22 მაისი „გრან პრი მონაკოზე" .გრან პრიში მონაწილეობდა 509-ჯერ — 130 გამარჯვება. 110 პოულ-პოზიშენი, 101 უსწრაფესი წრე. კონსტრუქტორთა თასი: 8 (1974, 1984, 1985, 1988-1991, 1998). ჩემპიონის ტიტულები: 11 (ემერსონ ფიტიპალდი — 1974, ჯეიმ ჰანტი — 1976, ნიკი ლაუდა — 1984, ალენ პროსტი — 1985, 1986, 1989, აირტონ სენა — 1988, 1990, 1991, მიკა ჰაკინენი — 1998, 1999).

# ფორმულა 1-ს კონკურენტი გამოუჩნდება, — შეთანხმება ხელმოწერილია

ეს შეიძლება მოხდეს შვიდი წლის შემდეგ, როცა ნავარაუდევია ფორმულა 1-ის ალტერნატიული რბოლების ჩატარება. ადრინდელი მითქმა-მოთქმა ამის თაობაზე უკვე შეთანხმებით დასრულდა. თუმცა, როგორც ადრე გაუწყეთ, ფორმულა-1-ის დამფუძნებლებმა და ავტომწარმოებლებმა სასტიკი პროტესტი გამოთქვეს ამ სიახლის შესახებ.

ტურინში ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, ალტერნატიული რბოლები 2008 წლის 1 იანვრიდან ჩატარდება. ფაქტიურად, ეს იქნება ახალი მსოფლიო ჩემპიონატი.

# ნბა



გუშინ ჩატარდა გადამწყვეტი მე-7 შეხვედრები შემდეგ წყვილებში: **„ფილადელფია" — „ტორონტო" 88:87.** მაკკი (22), აივერსონი (21+16 გადაცემა), ჯონსი (16), სნოუ (13), მუტომბო (10+17 მოხსნა) — დევისი (23+9 მოხსნა), კარტერი (20+9 გადაცემა), სუკლი (11+10 მოხსნა). ამ შეხვედრაში „სუპერ-სნაიპერებმა" აივერსონმა და კარტერმა ვერ გამოიჩინეს თავი მაღალი შედეგიანობით. აივერსონი უფრო გუნდისთვის თამაშობდა და შედეგიანი გადაცემებით საკუთარი რეკორდი დაამყარა. კარტერმა კი, რომელმაც მატჩის წინა დღეს უმაღლესი განათლების დიპლომი მიიღო, ფილადელფიაში მატჩის დაწყების წინ ჩაფრინდა. მატჩის შემდეგ აივერსონმა განაცხადა, რომ ის გახარებულია არა მარტო მოგებით, არამედ იმითაც, რომ თამაშობს იმ გუნდში, რომელსაც შეუძლია ასოციაციაში უძლიერესი იყოს. ამრიგად, სერია დამთავრდა „ფილადელფიას" გამარჯვებით ანგარიშით 4-3.

**„მილუოკი" — „შარლოტი" 104:95.** რობინსონი (29), ალენი (28), კასელი (17+13 გადაცემა), უილიამსი (13) — დევისი (29), მეშბერნი (21), კემპბელი (18+10 მოხსნა). გლენ რობინსონმა და რეი ალენმა შეძლეს გაემეორებინათ თავიანთი რეკორდი პლეი-ოფში ჩაგდებული ქულების მიხედვით — შესაბამისად 29 და 28. მაგრამ გამარჯვებული გუნდის მწვრთნელს ჯორჯ კარლს სერიის საუკეთესო მოთამაშედ ერვინ ჯონსონი მიაჩნია. სერიაში იმარჯვა „მილუოკიმ" ანგარიშით 4-3. ამრიგად, დასავლეთის კონფერენციის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან „ფილადელფია" და „მილუოკი", შეხვედრები გაგრძელდება 4 მოგებამდე და დღეს დაიწყება.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**22 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (12.00), ინგლისის ჩემპიონატი (15.30). კალათბურთი. ნბა (01.00, 05.00 — პირდაპირი). ***EUROSPORT.*** მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა (1.30). ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი (14.00). ფეხბურთი, ევროგოლები (15.00), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასის ოთხთა ფინალური მატჩი (20.00). ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13.45), გერმანიის (15.45), მსოფლიო ფეხბურთის (16.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალები: „რეალი" — „ბავარია" (19.15), „ლიდსი" — „ვალენსია" (22.45), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.30). ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (0.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (14.40, 20.25).

**23 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (14.05). ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივი" — „ტორპედო" (18.00, რეპორტაჟი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონიდან), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი: „ბაიერნი" — „ვალენსია" (23.00). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.05, 20.00). ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი: „ბავარია" — „ვალენსია" (23.35). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (20.00, 06.00 ნახევარფინალები), ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი, მონაკოდან (11.30, 16.30), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური ოთხეულის მატჩები (12.30), ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (16.30, მონაკოდან). ფეხბურთი. მსოფლიო 2002-ის გზით (18.00). კრივი. საერთაშორისო მატჩები (20.00). ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობის მიმოხილვა (22.30). რიტმული ტანვარჯიში. ევროპის გუნდური პირველობა (0.00 გერმანიიდან), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი (3.15). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15), გერმანიის (16.20), საფრანგეთის (20.15), იტალიის (20.55) ჩემპიონატების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია" — „რეალი", ნახევარფინალი (17.20) — ფინალი (23.40), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (15.40), კარატე. ტაილანდური ორთაბრძოლები (1.15).

**24 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი: „ბაიერნი" — „ვალენსია" (15.20). ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (19.00). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.30). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა-ს ნახევარფინალები (15.00, 05.00 პირდაპირი). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია" — „ბაიერნი" (20.00, გამეორება). ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.00). ***EUROSPORT.*** რიტმული ტანვარჯიში. ევროპის გუნდური პირველობა (12.30), ფეხბურთი. მსოფლიოს 2002-ის გზით (18.00). იუნიორთა საერთაშორისო მატჩი (2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი (14.05), იტალიის (16.05), გერმანიის (22.15), ესპანეთის (1.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი (15.10), ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (23.30, 1.45), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (22.30).

# კროსვორდი № 39



**თარაზულად:** 4. მძლეოსნობის სახეობა, 6. უპირატესობის მიცემა სუსტი მეტოქისთვის, 8. შედეგი სპორტში, 9. ინგლისის საფეხბურთო გუნდი, 10. ქართველი მეკარე-ფეხბურთელი, 11. იტალიის საფეხბურთო გუნდი, 13. „ოქროს ბურთის" მფლობელი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 14. საფრანგეთის საფეხბურთო გუნდი, 15. სრული მარცხი, 20. რუსი გოლიათი ფალავანი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, 21. იტალიელი ფეხბურთელი, ჯუზეპე... 22. წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი, 24. საბჭოთა ნაკრების კაპიტანი 60-იან წლებში, ფეხბურთელი, 25. სპორტული სარბიელი, ანუ... 26. მარჯვე, ეფექტური, ილეთი, 27. მძლეოსნური იარაღი.

**შვეულად:** 1. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 2. ფრანგი ჩოგბურთელი, 3. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი 60-იან წლებში, 5. ლეგენდარული ქართველი ალპინისტი, 7. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 10. მარტივი საფრენი აპარატი, 11. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 12. ქართული ხალხური თამაშობა, 16. მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ვაჟი მოჭადრაკე პროფესიონალთა ვერსიით, 17. ლატვიის საფეხბურთო კლუბი, 18. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 19. კურნიკოვას სახელი, 23. „ლივერპულის" ცნობილი ფეხბურთელი დღეს.

## №38 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. კორეა, 7. ნოა, 8. ათურმა, 10. ასანიძე, 11. ირანი, 13. ირბი, 17. ლოსაბერიძე, 20. რალი, 21. „ვერონა", 22. კური, 24. ამიცა, 25. „სამპდორია". **შვეულად:** 2. ელინგი, 3. კოშე, 4. ათენი, 5. არენა, 6. ტაიმი, 9. ესტრამადურა, 12. ნეიძე, 14. „იბერია", 15. მესხი, 16. „ლილი", 18. სივორი, 19. რინგი, 23. ურო.

# საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. კh! 1. ...მფd4
2. კf6+ მფc4 3. d3X.
1. ...მd4 2. d3+ მფc3 3. კe1X.
1. ...მc3 2. d3+ მფd4 3. კf2X.

---

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სკოლის გარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლა და მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სამსახურის ტანვარჯიშის სახეობათა სკოლის დირექტორის როზა ბერიკაშვილის შვილის**

**პაპუნა გახარიას**

**გარდაცვალების გამო.**

**პაპუნა გახარიას** პანაშვიდი გაიმართება 22 და 23 მაისს, 17 სთ; დაკრძალვა 24 მაისს 15 საათზე. მისამართი: ყაზბეგის 26/3.

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ჟურნალისტ ლაშა გახარიას და ვეტერან ტანმოვარჯიშეს, თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშის სახეობათა სპორტსკოლის დირექტორს, როზა ბერიკაშვილს შვილის**

**პაპუნა გახარიას**

**გარდაცვალების გამო.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.